# გილოცავთ აღდგომას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge




## „ქართულ ეკლესიაზე რუსული გავლენა მაქსიმალურად უნდა შემცირდეს“

გოჩა მირცხულავა: „საპატრიარქოში სინოდალურ მმართველობას მხარდამჭერები ჰყავს“

**5 აპრილიდან**

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




შაბათი – კვირა, 7 - 8 აპრილი, 2018

№82 (7627)

ფასი: 50 თეთრი

# „სტუდენტების აქცია ივანიშვილის ხელისუფლებამ სააკაშვილის ზონდერებს დაარბევინა“








ლაშა ჩხარტიშვილი: „ტყიბულის მაღაროში ტრაგედიას პრემიერის თანამდებობაც უნდა შეეწიროს“

## „მთავრობა ახალი ჯიპების შესაძენად ათეულობით მილიონს დახარჯავს“







## ხელისუფლება ერგნეთის ბაზრობის აღდგენას აპირებს




## თორნიკე შარაშენიძე: „აფხაზებს უნდა დავანახოთ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობს“

**ეკონომიკა**




## ირაკლი ზარქუა: „არ შეიძლება ყოველ ნაბიჯზე გარევაჭრობა. განსაკუთრებით ეს ეხება ცენტრალურ უბნებს“

## ბიზნესსახლის ტენდერის შედეგი გაასაჩივრეს





## დავით მუმლაძე: „სამშენებლო სფეროში არსებულ მდგომარეობას მხოლოდ რეგულაცია ვერ შეცვლის და შესაბამისი ბერკეტების ქონაა საჭირო“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** აშშ-მ იმ რუსი ოლიგარქების სია გაასაჯაროვა, რომლებიც ახალ სანქციებს დაექვემდებარებიან

**5** მომხმარებლებს მოუწოდებენ, საეჭვო ადგილებში ხორცი არ შეიძინონ

**6** ბექა ნაცვლიშვილი: „უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით ზოგადად ქვეყანაში რთული ვითარებაა შექმნილი“

**4** მიხეილ სააკაშვილის საგანგებო მიმართვა — „გავერთიანდეთ და დავასრულოთ ოლიგარქია!“

# „ქართულ ეკლესიაზე რუსული გავლენა მაქსიმალურად უნდა შემცირდეს“

## გოჩა მირცხულავა: „საპატრიარქოში სინოდალურ მმართველობას მხარდამჭერები ჰყავს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა განსაცდელის წინაშე დგას ქართული ეკლესია, რატომ ინარჩუნებს გავლენებს რუსეთი საპატრიარქოზე, რა შემთხვევაში მოითხოვს მეორე რუის-ურბნისის კრების მოწვევას, რატომ არის დიდი მავნებლობა მეუფეების პროდასავლური ფრთაზე საუბარი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.**

**გოჩა მირცხულავა:**

– საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში „პროდასავლურ ფრთაზე“ საუბარი ყველაზე დიდი მავნებლობაა, რომელიც სახეცვლილმა და ღირებულებებში „გარკვეულმა“ მეუფეებმა მრევლსა და საზოგადოებას შემოუგდეს. ჩვენი – საზოგადოების, მორწმუნეების ვალდებულებაა, ამ მეტად სახიფათო თამაშს არ წამოვეგოთ.

***– რატომ თვლით ამ თემას შემოგდებულად და რას არ უნდა წამოეგოს საზოგადოება?***

– ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ თურმე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში პროდასავლური ფრთა გაჩნდა, ანუ გაჩნდნენ ეკლესიის მსახურნი, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს იზიარებენ. მათ მიერ უცხოეთში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ დასავლეთი არ რყვნის, ლგბტ ცხოვრების წესს არ უწევს პროპაგანდას და ა.შ. არამედ დასავლეთი სხვა ღირებულებები ყოფილა. ეს „სხვა“ ასევე სხვადასხვა ცნობილი და აღიარებული პოსტულატია, რომლის განვრცობა ახლა საჭირო არ არის.

ვიღაც იტყვის – აი, შეხედეთ – წავიდნენ, ნახეს და აღიარეს. რა არის აქ ცუდი? და იქნებ მავანმა იკითხოს: არ ჯობია, რომ თუნდაც იფარისევლონ და აღიარონ სწორი და მართებული ღირებულებები?!

***– იქნება მართლაც უკეთესია, თუ მართებულ ღირებულებებს აღიარებენ?***

– მეც ასე შევაფასე არაერთ ჩემს პუბლიკაციაში, რომ, დიახაც, ნამდვილად კარგია, იმის მიუხედავად, გულწრფელად სწამთ თუ არა ის, რასაც ამბობენ, ისაუბრონ პროგრესსა და მართებულ ღირებულებებზე. სიღრმისეული ანალიზის შემდეგ მივხვდი, რომ ეს არის იმაზე დიდი მავნებლობა, ვიდრე ქართული ეკლესიის წიაღში პრორუსი პერსონების არსებობა, რომელთაც გულწრფელად სწამთ „მეოთხე რომი“ და, შესაბამისად, ის, რასაც ამბობენ და ქადაგებენ. მკითხავთ – რატომ? პირველი -– „პროდასავლურ ფრთაში“ გაერთიანებულმა მღვდელმთავრებმა ახლა დაინახეს დასავლური ღირებულებები და ის, რომ აშშ მტერი არ არის ან ევროპა? მეორე – რით გამოიხატება ამ მღვდელმთავრების პროდასავლურობა? ნუ მეტყვის ვინმე, რომ უმეტესი მათგანი საბჭოთა წყობას ეწინააღმდეგებოდა და ათეიზმის ეპოქაში რწმენის სიდიადე ნახეს. ისე, არ გაინტერესებთ, მე, პირადად, ძალიან, რას ემყარებოდა მათი რწმენა კომუნისტურ ეპოქაში? სიყრმიდან ასწავლეს სჯულის კანონი თუ მაცხოვრის იგავებმა ჩააფიქრა, რომელსაც ძილის წინ უყვებოდნენ ოჯახის წევრები?

მესამე – მანახეთ ერთი მღვდელმთავარი ამ „პროდასავლური ფრთიდან“, რომელმაც, მაცხოვარს თავი დავანებოთ და, თუნდაც იმავე ამბროსი ხელაიას მოწამეობრივი და ბრძოლის ანალოგიური გზა გაიარა თუნდაც კათოლიკოსის სიტყვებით შთაგონებულმა – „ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას“. ეტყობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ამ ბრძოლის პოზიტიური შედეგი? თან იმ პირობებში, როდესაც რუსეთი ხვალ შიოს სახით ეგზარქოსის დასმას გვიპირებს, ხოლო სხალთის ეპისკოპოსი ღიად ქადაგებს რუსეთის დიდებას, ამბიონზე გადმომდგარი?

ვგონებ, ეს ზერელე კითხვებიც საკმარისია, რომ ამ ადამიანების პროდასავლურობაში, მათი განვლილი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, შევიტანოთ ეჭვი. მეუფე იაკობის, როგორც 17 მაისის „არქიტექტორისა და შემოქმედის ღვაწლზე“ არაფერს ვამბობ.



სხვა რომ არაფერი, ასე „პროდასავლურ ფრთაზე“ საუბარი ბევრი რამის გამოა წამგებიანი და ამას რატომ არ უფიქრდებიან ეს მღვდელმთავრები?!

***– კიდევ რატომ არის წამგებიანი?***

– დავუშვათ და მოუგო მათ ბრძოლა პატრიარქობისთვის ეგზარქოსობის კანდიდატმა შიომ ან რომელიმე მისმა კოლეგამ – უფიქრიათ კი, რა შედეგებს მოუტანს ეს ქართულ ეკლესიასა და სახელმწიფოს, რომ არაფერი ვთქვა მრევლის მოსალოდნელ განწყობებზე? და აქვე – იმაზე აპელირება, რომ დასავლეთი კარგია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ გუნდის რომელიმე წევრი გაპატრიარქების შემთხვევაში ეკლესიას სათანადო სამსახურს გაუწევს.

არის კი ეს ჯგუფი მზად, რომ თავადვე დაანგრიოს ამ ინსტიტუტის ავტორიტარიზმი? როგორია მათი ხედვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის შესახებ? ეს ინსტიტუტი უნდა დარჩეს, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში თუ უნდა გაიაზრონ და გაიზიარონ სეკულარიზმის პრინციპები? და, რაც მთავარია, როგორია მათი ხედვა ეკლესიის სამომავლო როლის შესახებ? რჩება ეს ჩაკეტილ ორგანოდ თუ გარდაიქმნება განვითარების, განათლებისა და პროგრესის ცენტრად.

აქ მეუფე იაკობის განცხადებას ნუ მომიტანთ საპირწონედ აშშ-სთან კონკრეტული მიმართულებით თანამშრომლობაზე. ეგეც ბლეფი მგონია. საერთოდ რაზე ვსაუბრობთ იმ პირობებში, როდესაც ანდრიას უნივერსიტეტში ილვწიან ქართული საბჭოთა იდეოლოგიის ქურუმები – საბჭოთა ნომენკლატურისა და განათლების სისტემის „დამსახურებული პერსონები“. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მრჩება შთაბეჭდილება, რომ პროდასავლელობა პოზაა საზოგადოებისთვის პატრიარქის ტახტისთვის მიმდინარე გააფთრებულ ბრძოლაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დგას უმთავრესი ამოცანა – ღირსეულად გაუძლოს იმ განსაცდელს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა.

უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში არ მოვიდეს რუსეთის ინტერესების გამტარებელი პატრიარქი და მოხდეს რუსული გავლენის მინიმალიზება საქართველოს ეკლესიაში, რაც არანაირად არ გულისხმობს კავშირების გაწყვეტას ეკლესიებს შორის.

***– საპატრიარქოზე რუსული გავლენების მინიმალიზაცია როგორ უნდა მოხდეს?***

– საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საავდროოდ, დღემდე შენარჩუნებულია რუსული გავლენა ჩვენს ეკლესიაში, ყველანი, ვინც სხვაგვარად ვფიქრობთ საქართველოს, ქართველი ერისა და ქართველი ინდივიდის თავისუფლებაზე, უნდა შევეცადოთ, ამ ცოდნით მოვაქციოთ ძეშეცდომილნი სწორ გზაზე და მოვაბრუნოთ ეკლესიის წიაღში ან ვაიძულოთ, გავიდნენ ღვთის სახლიდან, რომელიც მრავალი მათგანისთვის საკუთარი კეთილდღეობის კანტორად იქცა.

პარალელურად, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს აპელირება რამე სახის „პროდასავლურ ფრთასა“ და ორიენტაციაზე ეკლესიაში. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესები, რომელიც სწორედ რომ ეფუძნება ორ უმთავრეს პრინციპს – თავისუფლებასა და კანონიერებას, რადგან „სამღვდელოება ყოველთვის იყო დამცველი საქართველოს თავისუფლების იდეისა“, თავისუფლება კი ნიშნავს პროგრესს, განსწავლულობასა და ქვეყნისთვის რუდუნებას. პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ჩვენ წოდებული ვართ თავისუფლებისათვის.

დაბეჯითებით მიმაჩნია და ეს უნდა მოითხოვოს ყველა გონიერმა ადამიანმა – საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა შეწყვიტოს არსებობა, როგორც სახელმწიფომ სახელმწიფოში და იგი ქვეყნის, სახელმწიფოს აღმშენებლობის, განვითარებისა და პროგრესის გზაზე უნდა იქცეს სახელმწიფოს პარტნიორად. დღეს ეს არის ქართველი ერის დაკვეთა და ამას უნდა მიხვდნენ ეკლესიის მსახურნი.

ყველა სახის ძალის საპირწონე მხოლოდ პროგრესული და რეფორმატორული ძალაა. ყველა სხვა სახის დაყოფა დააუძლურებს ეკლესიას და ჩვენ, შესაძლოა, იმ რეალობის წინაშე აღმოვჩნდეთ, როდესაც პირველი: საქართველოს ეკლესია დარჩება კათოლიკოს-პატრიარქის გარეშე; მეორე: ჩვენ მივიღებთ სინოდალურ მმართველობას; მესამე: ჩვენ აღმოვჩნდებით სქიზმის წინაშე.

***– ამ ვარიანტებს საპატრიარქოში როგორ უყურებენ?***

– რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ყველა ამ ვარიანტს ეკლესიაში თავისი მომხრე ჰყავს.

***– შეგვიძლია ამ ვარიანტების თავიდან აცილება?***

– ამ ყველაფრის თავიდან აცილება შესაძლებელია. აქვე, რაოდენ თავხედობადაც არ უნდა ჩამოთვალოს ვინმემ, ასე ღიად გავაფრთხილებ ნგრევა-დაყოფის მომხრეებს – მრევლს უფრთხილდით, მრევლს! ისე არ მოხდეს, რომ ზოგიერთს უკიდეგანო ამბიციები კი არა, საკუთარი თავი გაუხდეს გადასარჩენი და რუის-ურბნისი ქართველმა ერმა და მრევლმა მოაწყოს.

## კახეთში სკოლის მოსწავლის შესაძლო გაუპატიურების ფაქტზე გამოძიება დაიწყო



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო ერთ-ერთი სოფლის სკოლის მოსწავლე გოგონას შესაძლო გაუპატიურების ფაქტზე. პოლიციას რეაგირებისთვის გოგონას დედამ მიმართა. გოგონას სხეულზე დაზიანებები აქვს. 15 წლის ბავშვი რამდენიმე დღეა, სკოლაშიც არ დადის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ბავშვი სკოლაში იმიტომ არ დადის, რომ „ჭორი გაუვრცელეს და დათრგუნულია. გოგონა ბებიასთან იზრდება და ამბობენ, რომ მასზე სხვა რაიონში მცხოვრებმა მამაკაცმა იძალადა“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გოგონას შესაძლო გაუპატიურების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებას.

## აშშ-მ იმ რუსი ოლიგარქების სია გაასაჯაროვა, რომლებიც ახალ სანქციებს დაექვემდებარებიან



აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ ანტირუსული სანქციის სიაში 38 რუსი ბიზნესმენი შეიყვანა.

ამის შესახებ სამინისტროს გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტშია ნათქვამი.

სიაში „კრემლის სიის“ ბიზნესმენები ოლეგ დერიპასკი, კირილ შამალოვი, ვიქტორ ვექსელბერგი, იგორ რობენბერგი და სხვები მოხვდნენ. ამერიკაში მათი ანგარიშები გაიყინება, ამერიკულ კომპანიებსა და კერძო პირებს კი მათთან ბიზნესის წარმოება აეკრძალათ.

სანქციის ქვეშ 17 ჩინოვნიკი მოხვდა, მათ შორის შს მინისტრი ვლადიმირ კოლოკოლცევი, უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკალაი პატრუშევი და სხვა. გარდა ამისა, სიაში შევიდნენ „გაზპრომის“ ხელმძღვანელი ალექსეი მილერი, სენატორი სულეიმან კერიმოვი და სხვ.

სანქციები გულისხმობს სავიზო შეზღუდვებს, სიაში შემავალი იურიდიული პირების ფინანსირების შეზღუდვას, ასევე ამერიკის ტერიტორიაზე არსებული აქტივების შესაძლო გაყინვას.

კომერსანტი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „აფხაზებს უნდა დავანახოთ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობს“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო საკითხების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი, თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ახალ სამშვიდობო ინიციატივაზე საუბრობს.**

***— ბატონო თორნიკე, როგორ შეაფასებთ პრემიერის ახალ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც გულისხმობს აფხაზებთან და ოსებთან მეტ ურთიერთობას, დაახლოებას? ალბათ, დიდი პოლიტიკური გარღვევა არ იქნება მოსალოდნელი თუმცა, ადამიანებს შორის ურთიერთობას რამდენად შეუწყობს ხელს?***

— ეს ინიციატივა ცუდი ნამდვილად არ არის. კონსტრუქციული, მშვიდობისმოყვარე, მიმტევებელი — ამ პოზიციებით გამოდის საქართველო, რაც თეორიულად ძალიან კარგია. ამით ჩვენ ვცდილობთ აფხაზი და ოსი დებისა და ძმების დაბრუნებას, მაგრამ, რამდენად მოჰყვება ამას მეორე მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები?! დაფიქრდებიან ამაზე, ეს არის მნიშვნელოვანი.

***— საუბარია გამყოფ, საოკუპაციო ხაზს აქეთ გადმოსვლასა და ვაჭრობაზე, განათლების მიღებაზე, სამედიცინო დახმარებაზე და ა.შ.***

— დიახ, საქართველო აფხაზებსა და ოსებს სთავაზობს, თავიანთი პროდუქცია გაიტანონ ევროკავშირში, მაგრამ ევროკავშირის ბაზარზე ასე მარტივად რომ არ ხდება პროდუქციის გაიტანა, ამას ჩვენს მაგალითზეც ვხედავთ. ეს ასეთი მარტივი საქმე ნამდვილად არ არის. ჩვენი ფერმერებიც წვალობენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გაერკვნენ, რა და როგორ, ამიტომ ამ შესაძლებლობით ძალიან ცოტა სარგებლობს. ისინი გასაგები მიზეზების გამო გაცილებით ჩამორჩენილები არიან და მათთვის ეს კიდევ უფრო რთული პრობლემა იქნება.

მეორე, რაც შეეხება განათლების მიღებას თბილისსა და სხვა ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ამ მხრივ ენობრივი ბარიერი სერიოზული პრობლემაა. ქართული და ინგლისური მათთვის პრობლემას წარმოადგენს, თანაც პოლიტიკური ვაჟკაცობაა საჭირო, რომ გადმოვიდნენ და აქ ისწავლონ. ამდენად, ეს კონკრეტული მიზნები პრაქტიკულად რთული განსახორციელებელია, მაგრამ ჩვენს ქვეყანას, ქართულ მხარეს კარგად წარმოაჩენს. ამ ეტაპზე ესეც კარგია, რომც არავითარი შედეგი არ მოჰყვეს ამ ინიციატივას. ჩვენი გზავნილი არის ის, რომ მათი დაბრუნება გვინდა და, მათ თუ არ უნდათ, ჩემი აზრით, ეს მათი პრობლემა უფროა, ვიდრე ჩვენი, ოღონდ ეს ჯერ ვერ გაუაზრებიათ.

***— ადამიანებს შორის ურთიერთობა, ე.წ. სახალხო დიპლომატია რამდენად შესაძლებელია, რომ მოჰყვეს ამ ინიციატივას? მაგალითად, ენგურთან არსებულ გამყოფ ხაზს აქეთ აფხაზმა გადმოიტანოს თხილი, ვაჭრობის დონეზე დაწყებული ურთიერთობა რამე შედეგის მომტანი იქნება?***

— როგორც მე ვიცი, ისინი დღესაც გადმოდიან. ენგურთან არის სავაჭრო ობიექტები და ვაჭრობის დონეზე ეს ურთიერთობები დღესაც არის. აფხაზები გადმოდიან და ვაჭრობენ. ეს რამდენად მოანდომებს აფხაზებს საქართველოს იურისდიქციაში, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნებას, სხვა საკითხია. ჯერჯერობით რა სურათი გვაქვს — გადმოდიან და უკან გადადიან. ჯერ მათ არანაირი სურვილი არ გააჩნიათ, რომ ერთიან სახელმწიფოში ვიცხოვროთ, რაც, ჩემი აზრით, მათი პრობლემა უფროა, ვიდრე ჩვენი. რეალურად ისინი ვერ ვითარდებიან, ცხოვრობენ ცუდად, სერიოზული პრობლემაა მათთვის ნარკომანია, დემოგრაფიული მდგომარეობა, ჯანდაცვა, ეკონომიკური ვითარება, დასაქმებაზე საერთოდ აღარ არის საუბარი. ფაქტობრივად, დრო მათ წინააღმდეგ მუშაობს. აფხაზეთში მხოლოდ 80 ათასი აფხაზია დარჩენილი. ეს რას ნიშნავს, რომ კარგად აქვთ საქმე? ბუნებრივია, არა, პირიქით, ძალიან ცუდად აქვთ საქმე. თუ ასე უნდათ ყოფნა, იყვნენ, ეს მათი პრობლემაა.

***— გასაგებია, მაგრამ ჩვენ ტერიტორიული მთლიანობა გვაქვს აღსადგენი.***

— გავიგე, მაგრამ, რა ვქნათ, მათ ჩვენთან ერთად არ უნდათ.

***— რუსეთის ფაქტორი ხომ სერიოზულად მუშაობს, ლომის წილი ხომ უდევთ იმაში, რომ მათ ჩვენთან ერთად არ უნდათ.***

— ბოლომდე თვალს ნუ დავიბრმავებთ, რომ მხოლოდ რუსეთის ბრალია. სამწუხაროდ, აფხაზებისა და ოსების განწყობაც ხომ არ არის პროქართული?! ჩემი აზრით, უნდა ვიმუშაოთ, რომ აფხაზებსა და ოსებში ეს განწყობა შევცვალოთ. ჩემი აზრით, ეს განწყობა რომ შევცვალოთ, ამისთვის უნდა გამოვიყენოთ ე.წ. რბილი ძალა, ქართული რბილი ძალა, ვგულისხმობ, მაგალითად, ქართული სერიალების რუსულად თარგმნასა და იუთუბიზე დადებას, რომ უყურონ. მათ უნდა ნახონ ყოველგვარი დაძალების გარეშე, თუ როგორი ცხოვრებაა აქ, ჩვენ როგორ ვცხოვრობთ. ხვეწნა-მუდარა, არიქა, შენი ჭირიმე, მოდი, ერთად ვიყოთ, მათ ჩვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. მე არ მომწონს მუდმივი ხვეწნა-მუდარის რეჟიმი.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს შემდეგი ეტაპია, ჯერ რუსეთთან არის სამუშაო, დეოკუპაციის პროცესი დაიწყოს, რუსეთმა ჯარები გაიყვანოს?***

— რუსეთი ასე მარტივად ჯარებს არ გაიყვანს. რუსეთის პოზიცია რა არის — მე არაფერ შუაში ვარ, თუ გინდათ, ელაპარაკეთ! ჩვენი მიზანია, აფხაზებსა და ოსებს რეალობა დავანახოთ, დავანახოთ, თუ რა პერსპექტივა აქვთ მათ ცალკე და რა პერსპექტივა აქვთ ჩვენთან ერთად ერთიან სახელმწიფოში. ეს უნდა დავანახოთ ყოველგვარი დაძალებისა და თავპატიჟის გარეშე. სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვხედავ პოლიტიკას, დავანახოთ მათ, რომ რეალობა მათ და არა ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს.



***— დაბოლოს, საქართველომ დიდი ბრიტანეთის სოლიდარობის ნიშნად ერთი დიპლომატი გააძევა. ეს ახალი რეალობა, ვგულისხმობ ზოგადად შექმნილ რეალობას რუსეთის წინააღმდეგ, რამეს შეცვლის?***

— რუსეთმა ჩაყლაპა დიპლომატის გაძევება, თუმცა, შეიძლება, კონტრსანქციები მოჰყოლოდა, მაგალითად, სავაჭრო ემბარგო.

***— განცვიფრებული ვართო, ასეთი იყო პასუხი.***

— ნამდვილად არ ელოდნენ, გაუკვირდათ. დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან საერთოდ გაწყვეტილი გვაქვს.

# ხელისუფლება ერგნეთის ბაზრობის აღდგენას აპირებს

გულიკო ბალაძე

**რა შემთხვევაში და რა სქემით არის შესაძლებელი რეალურად პრემიერის ინიციატივის განხორციელება, ამ თემებზე „ახალ თაობასთან" პარლამენტის ყოფილი წევრი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი საუბრობს.**



***— ბატონო გურამ, როგორ აფასებთ პრემიერ კვირიკაშვილის ახალ ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ვაჭრობის წახალისებასა და ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობას? ამის გაკეთება როგორ წარმოგიდგენიათ?***

— ამის გამოცდილება არსებობს. მოგეხსენებათ, არსებობდა ერგნეთის ბაზრობა, რომლის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი. ერგნეთის ბაზარმა შეარიგა ქართველი და ოსი მოსახლეობა 1992 წლიდან 2004 წლამდე, სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა და ბაზარს დაშლიდა. ბაზრის გაკეთება დაიწყო სტიქიურად. იქიდან ოსი გამოდიოდა გამყოფ ზოლზე. მაშინ გამყოფი ზოლი ერგნეთში იყო. ერგნეთის ბაზარზე 15-20 ათასი კაცი მაინც მოძრაობდა. ოსები და ქართველები ერთმანეთს ფულსაც ენდობოდნენ და საქონელსაც. ქართველები ჩვეულებრივად ჩადიოდნენ და ჩამოდიოდნენ, ცხინვალში ქეიფობდნენ. გორი გადავსებული იყო ცხინვალიდან გამოსული ხალხით. ურთიერთობა აღდგა. 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ბაზრობა დაშალეს. წინააღმდეგობა ჩვენც არ გაგვიწევია.

მაშინდელმა ხელისუფლებამ ამ ბაზრის მაგივრად ჰუმანიტარული აქცია წამოიწყო. ჯერ თითო ტომარა ფქვილს და შაქარს ურიგებდნენ, შემდეგ დაიწყო სროლები. აქეთა მხრიდანაც დაიხოცნენ და იქითა მხრიდანაც, მაგრამ დაპირისპირდება დროზე შეჩერდა. ჩვენ რა ტერიტორიასაც ვაკონტროლებდით, იმ ტერიტორიაზე დავრჩით ტერიტორიის გასაკონტროლებლად ჩვენს ქართულ სოფლებში. 2004 წლიდან უკვე მოძრაობა და მთელი ამბავი დაიწყო შემოვლით გზაზე ერედვიდან ხეითამდე და დაპირისპირება მაინც გამოიწვია. 2004 წლიდან 14 წელი გავიდა. 2008 წელს ომიც იყო, მთელი მსოფლიო თანამეგობრობა გვეხმარება ურთიერთობის დალაგებაზე, გვეუბნებიან, ოსებს და რუსებს დაელაპარაკეთო.

***ჩემი აზრით, ომი გამორიცხულია. მშვიდობიანად ყველა გზა უნდა ვცადოთ. ისტორია იცით, 1918 წელს ოსები რომ დაესხნენ ცხინვალს და ქართველები დახოცეს, მერე ჯუღელი ჩამოვიდა და ორ დღე-ღამეში კავკასიის ქედს იქით გადაიყვანა. გასაბჭოების შემდეგ, რევოლუციაში მათი წვლილის გამო, კომუნისტებმა ოსებს ოლქი შეუქმნეს და ისევ ისე გააგრძელეს. ახლაც დიდი უბედურება მოხდა, მაგრამ დრომ და ეკონომიკამ კვლავ შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს.***

დღეისათვის ცხინვალიდან ხშირად გადმოდიან ადამიანები, რომლებსაც ოსური და რუსული პასპორტები აქვთ. თბილისში რომ გაიაროთ, ან დიდუბეში რომ გახვიდეთ, ასობით და ათასობით მანქანას დაინახავ მათი ნომრებით. საუბედუროდ ჩვენ ვერ ჩავდივართ ცხინვალში, თორემ ოსები ლარსის გამშვები პუნქტით ჩვეულებრივად მოძრაობენ. კარგად იცით, რომ ცხინვალში რამდენიმე ათასი ოსი ცხოვრობს. სამჯერ მეტი ოსი ცხოვრობს მთლიანად საქართველოში.

***— საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ბაზრობები რომ შეიქმნას, გადმოვლენ?***

— დიდუბეში და, საერთოდ, თბილისში ყოველ 10 მანქანიდან 1 მანქანა მათია. სად და როგორ უნდა შეიქმნას ბაზრობები, ამაზე ნაფიქრი მაქვს. საუბედუროდ ქართული მოსახლეობა იქით ვერ მიდის. ისინი კიდევ დედაქალაქ თბილისში ჩამოდიან და ჩვეულებრივად მოძრაობენ, არანაირი პრობლემა მათ არ აქვთ.

ერგნეთში ორი ბაზრობა იყო, ერთი ქართული ბაზარი იყო (გორის მხრიდან რომ შევდიოდით), სადაც პროდუქტებს ვყიდდით, ნახევარს იქით ოსური ბაზარი იყო და ისინი აკონტროლებდნენ, სადაც ხორბალი, ფქვილი და მსგავსი რაღაცები იყიდებოდა. იანვრის თვეში იქიდან ბაზრის მეპატრონე ოსები იყვნენ გადმოსული.

***— 2004 წელს თუ ახლა?***

— წელს, იანვრის თვეში ოსები იყვნენ გამოსული. მე ცხინვალში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი თაობის ყველა მიცნობს, მით უმეტეს, რომ საგზაოს უფროსი ვიყავი. ოსებმა მომაკითხეს. წავედით, დავსხედით, ვილაპარაკეთ, თქვეს, რომ ნანობენ... ფაქტობრივად, გენოციდი მოგვიწყვეს. გამოგვრეკეს, ფაქტი ჯიუტია.

***— ცხინვალიდან გადმოსული ოსები რას ნანობენ?***

— ცხინვალში კაცი არ არის, კახეთში დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძაშვილი ან ვიღაც არ ჰყავდეს. ცხინვალელი ოსები ნანობენ იმას, რომ აქეთ ვერ მოძრაობენ. ერთ საათში თბილისში ჩამოდიოდნენ, გზა გახსნილი იყო, მიდიმოდიოდნენ და რაც უნდოდათ, აკეთებდნენ. იქიდან როკის გვირაბით გადმოსვლა დიდი პრობლემაა. ხან თოვლია, ხან — ზვავია. იმ ბიჭებმა (ერგნეთის ბაზრის მონაწილეებმა), რომლებიც ახლა იყვნენ ჩამოსულები, თქვეს, რომ ცხინვალში ასი ოსი რომ გააჩერო და შეეკითხო, მაგალითად, ერგნეთის ბაზარი რომ გაიხსნას და ქართველებთან ურთიერთობა აღდგეს, რას იტყვითო, ასიდან ერთი იყვირებს, არა, ბაზრობა არ უნდა გაიხნას, მაგრამ ყველაზე მეტად იმას უნდა, რომ ბაზრობა გაიხსნას.

ასეთი ურთიერთობა და ქართველი ადამიანის ტოლერანტობა, შერიგებისთვის მთავარია. არ ყოფილა შემთხვევა, ქართველს ოსისთვის მოეტყუებინა. მთავარია, რომ ასეთი ბაზრობების გახსნის საშუალება მიეცეთ. 2004 წლის ზაფხულამდე საქმე უკეთესად იყო. ოსებმა პირველად ჩემზე გამოაცხადეს, მილიონს გადავუხდით, ვინც ვახტანგაშვილის თავს მოგვიტანსო. ამ დროს ცხინვალში ჩვეულებრივად ჩავდიოდი და ვქეიფობდი. ფაქტობრივად, შერიგებულები ვიყავით. მით უმეტეს, აჭარის ამბავი მშვიდობიანად რომ დასრულდა, ოსები, ვისთანაც ახლო ურთიერთობები მქონდა, აცხადებდნენ, ახლა ჩვენი დროც მოვიდა და ჩვენს შორის პრობლემებიც ასე მშვიდობიანად დასრულდებაო.

ისინი უკვე შეგუებულები იყვნენ იმას, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდა. მით უმეტეს, ივანოვი რომ ჩამოვიდა და ასლან აბაშიძე წაუყვანა, ოსები მეუბნებოდნენ, ჩვენც ასე მოგვიწევს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. თუმცა, იმასაც ამბობდნენ, აფხაზეთზე ნაკლებ სტატუსს ჩვენ არ დავთანხმდებითო.

ვითარება იმ ეტაპამდე იყო მისული, რომ შევარდნაძე ჯავაში იყო ჩასული და ჩიბიროვს შეხვდა. შემდეგ ჩიბიროვი აქეთ ჩამოვიდა, შეხვედრა ლიკანში მოეწყო. ჩიბიროვმა უთხრა შევარდნაძეს, აგერ ერგნეთის ბაზრობაზე ხალხი ერთმანეთში მიდი-მოდის, ერთმანეთში ნათესაობა აღადგინეს. ჩვენც დაგვეხოცა ხალხი და თქვენც დაგიხოცესო. სტატუსი მოგვიმატეთ, რომ სათქმელი გვქონდესო. უკვე 99%-ით მომწიფებული იყო საკითხი, რომ ცხინვალი ჩვენს იურისდიქციაში შემოვიდოდა. ეს ჩემი ყურით არ გამიგონია, მაგრამ ისეთმა კაცმა მითხრა, რომელიც ესწრებოდა. ალბათ საოქმო ჩანაწერებშიც იქნება.

მაშინ ირაკლი მაჭავარიანი იყო შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე. მე ერთი-ორჯერ დავესწარი ამ კომისიის შეხვედრებს, როცა დეპუტატი ვიყავი. ირაკლი მაჭავარიანი ძალიან ძლიერი მომლაპარაკებელი და ძალიან ძლიერი პიროვნებაა. „პარადი“ ირაკლის მიჰყავდა. მაშინ იყო ეუთოს დახმარება და მილიონობით ფული შემოდიოდა. მაგალითად, 3 მილიონიანი პროექტი იყო. ამ სამი მილიონიდან, მილიონნახევარის სამუშაოები შესრულდა ქარ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „მთავრობა ახალი ჯიპების შესაძენად ათეულობით მილიონს დახარჯავს“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩამოწერილ შავ ჯიპებს კაპიკებში მიჰყიდიან თავის ნათესავებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ უარყო მთავრობამ შავი ჯიპები, ვინ იხეირებს პრემიერის ახალი ინიციატივით, რატომ არაფერი გვეშველება „ოცნების" ხელში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.**



***– ამ დღეებში პრემიერმა გვამცნო, რომ მთავრობა შავი ფერის ჯიპებს უარყოფს. მისი ეს ინიციატივა სასაცილოდ არ გეჩვენებათ?***

– ეს ინიციატივა უფრო სატირალია, ვიდრე სასაცილო. ამ უარყოფის შემდეგ, მთავრობა თავის ნახმარ ჯიპებს ჩამოწერს და კაპიკებში მიჰყიდის თავის ახლობლებს. არ დაიჯეროთ, რომ შავი ჯიპების გაყიდვით ჩვენს ბიუჯეტს რამე შეემატება.

სამარცხვინო იყო ისიც, თუ რა დროს გაკეთდა ეს განცხადება. იმ დღეს ტყიბულში 6 მაღაროელი დაიღუპა, მთელი მთავრობა კი მანქანების ფერზე საუბრობდა.

გიორგი კვირიკაშვილის ეს ინიციატივა ბიუჯეტს დააზარალებს – სახელმწიფოს ახალი ჯიპების შეძენა მოუწევს. ამჯერად წითელ, თეთრ და ლურჯ მანქანებს შეიძენენ. განსაკუთრებული მოთხოვნა ლურჯ ჯიპებზე იქნება.

***– ლურჯ ჯიპებზე რატომ იქნება განსაკუთრებული მოთხოვნა, რაკი „ოცნების“ ფერია?***

– რა თქმა უნდა. მთელი თბილისი გადაალურჯეს – ლურჯი ავტობუსები, ლურჯი ნაგვის ურნები და არც ლურჯ ჯიპებზე იტყვიან უარს.

ჩვენს ბიუჯეტს მთავრობის შენახვა ისედაც ძვირი უჯდებოდა და ახლა კიდევ უფრო გაძვირდება – „ოცნებას“ ახალი მანქანები აქვს საყიდელი. იმის ილუზია ნურავის ექნება, რომ მთავრობა ნახმარ მანქანებს შეიძენს.

***– ამას როგორ იკადრებს ჩვენი მთავრობა.***

– რა თქმა უნდა, არ იკადრებენ. არც კვირიკაშვილი და არც მთავრობის სხვა წევრები არ დაუშვებენ, რომ ნახმარ ან შედარებით იაფ მანქანებში ჩასხდნენ.

პრემიერის ეს ინიციატივა კორუფციულ გარიგებებსაც შეუწყობს ხელს – ახალ მანქანებს ისევ თავის ახლობლებისგან იყიდიან. ბევრი ასეთი გარიგება გაფორმდება. „ოცნებასთან“ დაახლოებული პირები მილიონებს იშოვიან. ამდენივე მილიონი დააკლდება სახელმწიფო ბიუჯეტს.

ეს ფული ძირითადად გაჭირვებულ ადამიანებს მოაკლდება. მათ დასახმარებლად ბიუჯეტში ისედაც არასდროს არა აქვთ თანხები. მთავრობის წევრების კომფორტისთვის ბიუჯეტში ყოველთვის არის ფული. აი, ამიტომ არ მეჩვენება ეს ინიციატივა სასაცილოდ. ეს არის სატირალი და აღმაშფოთებელი – სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი ჩინოსნების კომფორტსა და ფუფუნებას ხმარდება.

***– თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მთავრობამ შავი ჯიპების უარყოფა? სადმე მოითხოვა მოსახლეობამ ან ოპოზიციამ, შავი ჯიპებიდან გადმოდითო?***

– შავ ჯიპებზე ალბათ იმიტომ თქვეს უარი, რომ ხალხს დაუმტკიცონ, შავი გაგების ხალხი არა ვართო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

მთავრობის მიმართ ასეთი მოთხოვნა არავის არ ჰქონია. პრემიერმა ეს ინიციატივა იმიტომ გააჟღერა, რომ ხალხის ყურადღება გადაეტანა. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი წამოეგო ამაზე და ჩათვალეს, რომ მთავრობა უფრო იაფ მანქანებზე გადავა, რომელსაც უფრო ნაკლები საწვავი სჭირდება.

მთავრობის წევრების კომენტარებიდან გამოჩნდა, რომ ნაკლებფასიანი მანქანების ყიდვას არ აპირებენ. კვირიკაშვილმა პოპულისტური განცხადება გააკეთა. ძალიან მალე ვნახავთ, როგორ მანქანებს შეიძენენ.

იმასაც მივადევნოთ თვალი, რომელ კომპანიასთან გააფორმებს მთავრობა ხელშეკრულებას. ყველას კარგად გვახსოვს, შსს-მ როგორ გაუფორმა სპორტის მინისტრის, ტარიელ ხეჩიკაშვილის, კომპანიას მრავალმილიონიანი ხელშეკრულება. ახლაც თავისიანს გაუფორმებენ, ხალხი კი მოტყუებული და მშიერი დარჩება.

***– თქვენი აზრით, ფერების გადანაწილება როგორ მოხდება? რა პრინციპით შეარჩევენ უწყებები ფერებს?***

– ყველაზე დიდი მოთხოვნა ლურჯ ფერზე იქნება. ამ ფერის ჯიპებით პრემიერი და მინისტრები ისარგებლებენ. დანარჩენები კამათელს გააგორებენ და ასე აირჩევენ ფერს.

ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში სიკეთეს არ უნდა ელოდოს. მთავრობა თავისი კომფორტის შესაქმნელად ათეულობით მილიონს ხარჯავს. მთავრობის მთავრობა, ივანიშვილი კი, ხეების მოგლეჯაზეა გადასული.

# „სტუდენტების აქცია ივანიშვილის ხელისუფლებამ სააკაშვილის ზონდერებს დაარბევინა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ტყიბულის მაღაროში ტრაგედიას პრემიერის თანამდებობაც უნდა შეეწიროს“

შორენა მარსაგიშვილი

ტყიბულის მაღაროში მომხდარ ტრაგედიას საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ტრაგედიის მეორე დღეს, 6 აპრილს, სტუდენტებმა „აუდიტორია 115“-ის ორგანიზებით რუსთაველზე საპროტესტო აქცია გამართეს.

ახალგაზრდები ხელისუფლებისგან შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებას ითხოვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას 6 აპრილი გლოვის დღედ ჰქონდა გამოცხადებული, ის აქციის მონაწილეების დარბევას არ მორიდებია.







აქციის დარბევა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ახალგაზრდებმა საავტომობილო გზა გადაკეტეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილე, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ დარბევაში სააკაშვილის ზონდერები მონაწილეობდნენ.

– არაერთხელ ვთქვი, რომ „ოცნება“ ნაციონალების კურსის გამგრძელებელია. ამიტომაც დატოვა თავის რიგებში სააკაშვილის ზონდერები. ისინი 6 აპრილის აქციის დარბევაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი დამრბევი იყო კენჭოშვილი, რომელიც სააკაშვილის დროსაც გვარბევდა.

ივანიშვილის ხელისუფლების ზონდერები სასტიკად გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს. ისინი არც გოგონების ცემას მოერიდნენ. რამდენიმე ახალგაზრდა დააკავეს. ეს ახალგაზრდები მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ითხოვდნენ, მუშებს ჰქონდეთ სიცოცხლის უფლება, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ჩხარტიშვილი.

უფლებადამცველის თქმით, ეს დარბევა საზოგადოებაში საპროტესტო განწყობას ვერ შეანელებს.

– ვერც კენჭოშვილები, ვერც ივანიშვილები და ვერც სააკაშვილები ვერ შეგვაშინებენ. აქციები მომავალშიც გაიმართება. ველოდებით, რომ ამ თემაზე კიდევ უფრო ბევრი ადამიანი გამოვა ქუჩაში.

ჩვენ ვალდებულები ვართ, პროტესტი გამოვთქვათ. ჩვენ ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ ქვეყანაში დაცული იყოს შრომითი უსაფრთხოება. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ კიდევ ბევრი ადამიანი დაიღუპება, – მიაჩნია ჩხარტიშვილს.

მისი განცხადებით, ტყიბულის ტრაგედიის შემდეგ უნდა მომხდარიყო კონკრეტული პირების დასჯა.

– ამის გამო რამდენიმე ადამიანის პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო. ეს ისეთი შემთხვევაა, რომ მას პრემიერიც უნდა გადაჰყვეს. ადამიანები რომ სამუშაო ადგილებზე იღუპებიან, ეს ხელისუფლების დამსახურებაა. ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში შრომითი უსაფრთხოება იყოს დაცული.

ისინი მუშებზე მეტად მათთან თანშეზრდილ ბიზნესს უფრთხილდებიან და საერთოდ არ აინტერესებთ, რამდენი ადამიანი დაიღუპება. იმის ნაცვლად, რომ შრომითი უსაფრთხოების დაცვაზე დაეწყოთ საუბარი, ახალგაზრდების აქცია დაარბიეს, – ამბობს უფლებადამცველი.

მისი თქმით, ხელისუფლება იტყუება, როცა ამბობს, რომ ტრაგედია სამთო დარტყმას მოჰყვა.

– ტრაგედიიდან ძალიან მალე ხელისუფლებამ გვითხრა, რომ ნგრევა სამთო დარტყმამ გამოიწვია. ჯერ არავინ იცის, ეს ასე იყო თუ არა. ხელისუფლება ასევე იტყუება, როცა ამბობს, რომ სამთო დარტყმის აცილება ისევე შეუძლებელია, როგორც მიწისძვრის. ეს არის სიცრუე. სამთო დარტყმის აცილება შესაძლებელია, – აღნიშნა ჩხარტიშვილმა.

მისი თქმით, შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვის მოთხოვნით აქციები მომავალ კვირაშიც გაგრძელდება.

# მიხეილ სააკაშვილის საგანგებო მიმართვა – „გავერთიანდეთ და დავასრულოთ ოლიგარქია!“



საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საგანგებო ვიდეო მიმართვას ავრცელებს, სადაც ის საზოგადოებას და ოპოზიციურ პარტიებს ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმის დასამარცხებლად და საქართველოს გადასარჩენად გაერთიანებისა და ერთად ბრძოლისკენ მოუწოდებს.

– სანამ ქვეყანა ლატაკდება, ხალხი შიმშილობს, კრიმინალი ბობოქრობს და მეშახტეები იღუპებიან, ოლიგარქი ივანიშვილი ითვისებს ყველა ბიზნესს და ცინიკურად ერთობა ხეების თრევით და ეკოკატასტროფას აწყობს!

ივანიშვილი არის სახელმწიფოს მტერი. ამიტომ მე მინდა მოვუწოდო ყველა ოპოზიციურ ძალას – სანამ დროა გადავდოთ განსხვავებები და გავერთიანდეთ. ჩვენ გამოგვივა დიდი ცვლილებების მოხდენა.

გავერთიანდეთ და დავასრულოთ ივანიშვილის ოლიგარქია! – აცხადებს სააკაშვილი თავის მიმართვაში.

# ხელისუფლება ერგნეთის ბაზრობის აღდგენას აპირებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თულ სოფლებში, მილიონნახევრის სამუშაოები შესრულდა ოსურ სოფლებში, სადაც თუ რაიმე იყო გასაკეთებელი, გაუკეთეს, ვთქვათ, ხიდი იყო აღსადგენი და აღუდგინეს.

თავიდან, მიშას ხელისუფლება რომ მოვიდა, თუ გახსოვთ, დეპუტატი რომ ვიყავი, ძალიან აგრესიულად ვიყავი განწყობილი და თუ რამე იყო, ყოველთვის გამოვდიოდი. მათ მაჭავარიანი გაუშვეს და მოლაპარაკებებში ხაინდრავა და ვოლსკი მონაწილეობდნენ. მე არავის მომხრე არ ვარ. გოგა ხაინდრავა მინისტრი გახლდათ, გიორგი ვოლსკი კი – მოადგილე.

***– ხაინდრავასა და ვოლსკის დროს მოლაპარაკებები როგორ მიდიოდა?***

– სანამ გოგა ხაინდრავა და გიორგი ვოლსკი იყო, რუსებთან და ოსებთან მოლაპარაკებები (რომელსაც ვესწრებოდი) ძალიან ნორმალურად მიდიოდა. ბევრჯერ იყო შემთხვევა, როცა იძაბებოდა სიტუაცია, სამშვიდობოებს გადმოწევა უნდოდათ და დაიძაბებოდა სიტუაცია, ჩამოვიდოდა ან გოგა ხაინდრავა, ან გიორგი ვოლსკი და სიტუაცია მოგვარდებოდა. იაკობაშვილის შემდეგ (მინისტრად რომ დანიშნეს) სიტუაცია აირია.

***– რატომ?***

– შეხვედრების მასხრად აგდება ხდებოდა. სანამ გოგა ხაინდრავა და გიორგი ვოლსკი იყვნენ, დაფინანსებაც ნორმალურად ხდებოდა, წყლები კეთდებოდა, გზები კეთდებოდა. იაკობაშვილი დანიშნეს მინისტრად თუ არა, არ ვიცი, რა დავალება იყო, ვისი დავალება იყო, სულ აირია ყველაფერი. მხოლოდ თუ დავთანხმდებით სავაჭრო ადგილების გახსნას, სულ ადვილია გაკეთება.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერგნეთის ბაზრობის აღდგენა ხდება?***

– არ ვიცი. ერგნეთს რომ გავცდებით, ერგნეთის ბოლოს, იქიდან პირველი სახლი რომ არის ცხინვალის მხარეს, იქ დგას ჩვენი სპეცჯგუფი, იმის იქით, სადღაც 1-2 კილომეტრში ოსები დგანან. ერგნეთის ტერიტორია მთლიანად რაც იყო, ნეიტრალურ ტერიტორიად ითვლება. რუსეთის ნება თუ იქნება, ბაზრობის გაკეთება ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეიძლება.

***– თუ რუსეთის ნება არ იქნება?***

– თუ რუსეთის ნება არ იქნება, რუსმა თუ არ უთხრა, ოსები ბაზრობაზე არ გამოვლენ.

# სოფელი აფნისი ბავშვების გარეშე დარჩა



ქარელიდან 3 კმ მანძილზე სოფელი აფნისი მდებარეობს. იქ ამჟამად 8 ოჯახი ცხოვრობს. აქედან 6-მა ოჯახმა სახლები 90-იანი წლების ბოლოს შეიძინა, 2 ოჯახი კი დიდი ხანია ცხოვრობს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ სოფლიდან ქარელში ოთხი მოსწავლე დადიოდა – ოთხივე და-ძმა. აქედან ქარელის სკოლაში ამჟამად ერთადერთი მოსწავლე დადის. ისიც მე-11 კლასელია.

სკოლის დამთავრების შემდეგ ქარელის მე-2 საჯარო სკოლას აფნისელი მოსწავლე აღარ ეყოლება.

ძველი სკოლა ახლაც შემორჩენილია. ამ შენობაში 5 წელი ერთი ადამიანი ცხოვრობდა, რომელსაც თავისი საკუთარი სახლი დანგრეული ჰქონდა. ოთახს ახლაც ეტყობა, რომ შენობა დაახლოებით ერთი წლის წინ დატოვა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ძველი სკოლის შენობაში მცხოვრები პიროვნება მისმა ნათესავებმა ჩრდილოეთ ოსეთში წაიყვანეს.

ლუბა ქოქოშვილის ვაჟი ამჟამად მე-11 კლასელია. ის აფნისიდან ქარელის მე-2 საჯარო სკოლაში დადის და ერთადერთი აფნისელი მოსწავლეა, რომელსაც ტრანსპორტი ემსახურება.

ლუბა ქოქოშვილი ამბობს, რომ სოფელში კიდევ სამი შვილი, გოგონები გაზარდა. სამივე გოგონა ქარელის სკოლაში ფეხით დადიოდა:

– მთელი წლების განმავლობაში, ფეხით დავდიოდით ქარელში. ჩავკიდებდი ხელს შვილებს და მიმყავდა სკოლაში, ასე გავატარეთ ეს წლები. ბიჭის სწავლის დროს, უკვე, დიდი შეღავათი გაგვიწიეს. ტრანსპორტი დაუნიშნეს

გოჩა ქოქოშვილი და ლუბა ქოქოშვილი 1990 წელს დაქორწინდნენ. იმ პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტი უკვე დაწყებული იყო.

გოჩა ქოქოშვილი ამ სოფელში ერთადერთია, რომელმაც კონფლიქტის დროს, სოფელი არ მიატოვა და საცხოვრებლად ჩრდილოეთ ოსეთში არ წავიდა. იხსენებს, რომ არაფორმალური დაჯგუფებების წევრები როგორც თანასოფლელებს, ასევე მასაც ავიწროებდნენ. ის დედით ქართველია. მიუხედავად იმისა, რომ ახლობლები ჰყავდა, მაინც ურჩიეს, რომ სოფელს გარიდებოდა:

– მეც ძალიან ბევრჯერ შემავიწროვეს. მიუხედავად ამისა, არ წავედი საქართველოდან. ავიღე ჯოხი და კლდისწყაროში გადავედი. იქ ვეღარავინ ამოვიდოდა. საქონელს ვმწყემსავდი და იმით ვირჩენდით თავს. როცა დაწყნარდა სიტუაცია, დავბრუნდი სოფელში.

აფნისში 1989-90 წლებამდე 35 კომლი ცხოვრობდა. ძირითადად ეთნიკური ოსები. სოფელი ქარელიდან სულ რაღაც 3 კმ მანძილზე მდებარეობს, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს მოსახლეობის უმრავლესობამ სოფელი მიატოვა. დიდი ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა საცხოვრებლად, მცირე ნაწილი – დედაქალაქსა და სხვა რაიონებში.

სახლები მოუვლელობით დაძველდა. ზოგი შენობა თითქმის დაინგრა. 90-იანი წლების ბოლოს 10-მდე სახლს ახალი პატრონი გამოუჩნდა. ისინი ეთნიკურმა ქართველებმა იყიდეს.

აფნისში 19 წელია ცოლ-ქმარი – ვალოდია და ლიდა მაჭავარიანები ცხოვრობენ. ისინი აფნისში რუსთავიდან ჩავიდნენ. წარმოშობით ხარაგაულიდან არიან. ვალოდია მაჭავარიანი აზოტის ქარხნის თანამშრომელი იყო.

მათ აფნისში სახლი 1999 წელს იყიდეს და საცხოვრებლად გადავიდნენ. შვილები და შვილიშვილები რუსთავში ჰყავთ.

– დაიშალა აზოტის ქარხანა და ჩვენც, მოხუცები, წამოვედით აქეთ. აქ ვცხოვრობთ 19 წელია. სოფელიც ლამაზია, ჰაერიც კარგია, პირობებიც ნელ-ნელა უმჯობესდება, მაგრამ დიდი ხანია, ამ გაუმჯობესებას ველოდებით. ზამთარში გზა იკეტება.

ისინი ამბობენ, რომ აფნისში მუდმივი მაცხოვრებელი 8 ოჯახია. აქედან 2 ოჯახი საკუთრივ აფნისელია, 6-მა ოჯახმა კი სახლები შეიძინა. ვალოდია და ლიდა მაჭავარიანების თქმით, სხვა დანარჩენი სახლების მეპატრონეებმა ჩრდილოეთ ოსეთიდან თუ თბილისიდან დაბრუნება დაიწყეს:

ნელ-ნელა ბრუნდებიან ოსები. ბევრი ოჯახი ზაფხულობით ჩამოდის. მშობლების საფლავები აქ აქვთ. ყოველ ჩამოსვლაზე საფლავებზე აუცილებლად გადიან.

გოჩა ქოქოშვილი ამბობს, რომ სოფელში დაბრუნება იმათაც უნდათ, ვინც სახლები უკვე გაყიდა.

– მთხოვენ მეც, რომ შინაურულად დაველაპარაკოთ ამ ხალხს, რომ იქნებ როგორმე უკან გამოისყიდონ ეს სახლები. ძალიან ბევრს უნდა დაბრუნება. ვინც არ გაყიდა, ისინი ჩამოდიან ხოლმე, – ამბობს გოჩა ქოქოშვილი.

ქარელის მერია აპირებს, რომ აფნისამდე მისასვლელი გზა მოაწესრიგოს. ამ ეტაპზე ტენდერი გამოცხადებულია, თუმცა გზის რეაბილიტაციის შემდეგ ახალი გზა სოფლამდე არ ავა.

ახალი ასფალტი დაიგება მხოლოდ ქარელის სასაფლაომდე. ქარელის სასაფლაოსკენ მიმავალი გზით აფნისელებიც სარგებლობენ. დასაგები დარჩება 1,5 კმ.

სოფელში წყაროებია. ამ წყაროებს გაკეთებული აქვს წყალშემკრები აუზები. ყველა ოჯახი ამ წყაროებით სარგებლობს.

აფნისში ელექტროენერგიის მუდმივი მომარაგებაა. ენერგოპროჯორჯიამ, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, 2016-2017 წლებში დასახლება გაამრიცხველიანა.

აფნისთან ახლოს მიწის ფართობები შეიძინა ქარელელმა ბიზნესმენმა დიტო დავითაშვილმა. ნაკვეთებზე დამონტაჟებულია წვეთოვანი სისტემები. აფნისელები ხედავენ, რომ ბიზნესმენ დავითაშვილს დასაქმებული ჰყავს მოსახლეობა.

# ელექტროსისტემის ხელმძღვანელმა ერთ წელიწადში 341.700 ლარი ხელფასი მიიღო



„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ხელმძღვანელ სულხან ზუმბურიძის ხელფასი 2017 წელს 341.700 ლარი იყო, რაც თვეში 28.475 ლარს შეადგენს და საჯარო სექტორში „რეკორდული“ მაჩვენებელია.

სულხან ზუმბურიძეს სააქციო საზოგადოების მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა 2007 წლის დეკემბრიდან უკავია. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, მისი წლიური ანაზღაურება 2016 წელს 326.603 ლარს შეადგენდა, 2015 წელს – 335.656 ლარს, 2014 წელს – 263.374 ლარს, 2013 წელს კი 218.329 ლარი იყო.

სულხან ზუმბურიძის მეუღლე ქეთი რეხვიაშვილი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მთავარი სპეციალისტია, სადაც მან 2017 წელს მიიღო 92.848 ლარის ოდენობით ხელფასი, ანუ საშუალოდ თვეში 7.737 ლარი.

შედარებისთვის, საქართველოს პრეზიდენტის წლიური ხელფასი 82.800 ლარია, ე.ი. თვეში 6.900 ლარი, პარლამენტის თავმჯდომარისა – 80.000 (თვეში საშუალოდ 6.670 ლარი), პრემიერ-მინისტრის შრომის ანაზღაურება კი 2017 წელს 51.000 ლარი, ანუ თვეში საშუალოდ 4.250 ლარი იყო.

– საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორია. კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 3.350 კმ სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზებსა და 90 ქვესადგურს. კომპანიის აქციების სრულ პაკეტს ფლობს „საპარტნიორო ფონდი“, ორგანიზაციის მართვის უფლება კი გადაცემული აქვს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

# მომხმარებლებს მოუწოდებენ, საეჭვო ადგილებში ხორცი არ შეიძინონ



სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, აღდგომის დღეებში, მარხვის დასრულებასთან ერთად, ხორცპროდუქტების მოხმარება იმატებს. გაზრდილი მოთხოვნის ფონზე ხშირია არაკეთილსაიმედო გარემოში გასაყიდად გამოტანილი ხორცი, რომელთა წარმომავლობა, ისევე, როგორც დაკვლის ადგილი, მომხმარებლისთვის უცნობია.

სურსათის ეროვნული სააგენტო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მოსახლეობას მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ისეთ ადგილებში ხორცისა და ხორცპროდუქტების შეძენისგან, სადაც ჰიგიენური ნორმები და ხორცის შენახვის პირობები დაცული არ არის. რეკომენდაციების მიხედვით, საქონლის ხორცის შეძენისას მომხმარებლებმა ყურადღება შემდეგ გარემოებებზე უნდა გაამახვილონ:

გასაყიდი ხორცი უნდა იყოს ნიშანდებული, უნდა გააჩნდეს „ფორმა №2“ და ეტიკეტი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ცხოველი დაკლულია სასაკლაოზე და გავლილი აქვს, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული შემოწმება

საქონლის ხორცის ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: სასაკლაოს აღიარების ნომერი, იმ ქვეყნის მითითებით, სადაც ცხოველი დაიკლა, ასევე, დამზადების თარიღი და საათი;

თუ ხორცი მიღებულია საქართველოში დაბადებული, გაზრდილი ცხოველისგან („წარმოშობა – საქართველო“) ეტიკეტზე მითითებულ უნდა იყოს ცხოველის საიდენტიფიკაციო საყურე ნიშნის ნომერი. თუ ხორცი, იმპორტირებულია სხვა ქვეყნიდან, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს იმპორტიორი ქვეყნის დასახელება;

ხორცი უნდა ინახებოდეს, სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით. შენახვის ტემპერატურა: 2-დან 6 გრადუსამდე, შენახვის ვადა 48 საათი;

სხვადასხვა წარმომავლობის ხორცი (საქონელი, ცხვარი, ღორი, თხა) მაცივარში განცალკევებული უნდა იყოს განთავსებული. ასევე, განცალკევებით უნდა იყოს განთავსებული სხვადასხვა ქვეყნიდან (ბრაზილია, უკრაინა და სხვა) იმპორტირებული ხორციც;

წვრილფეხა საქონლის შემთხვევაში, მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ კრიტერიუმებს: ხორცი უნდა ინახებოდეს, სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით. ტემპერატურა: 2-დან 6 გრადუსამდე, შენახვის ვადა 48 საათი; ხორცის გამყიდველს ნათლად უნდა ჰქონდეს მითითებული პროდუქტის სახეობა (ღორი, თხა, ცხვარი). ეტიკეტზე წარმოდგენილი უნდა იყოს – ბიზნესოპერატორის დასახელება და სასაკლაოს აღიარების ნომერი; ასევე დამზადების თარიღი და საათი. ეტიკეტი, ისევე, როგორც ვეტმოწმობა ანუ „ფორმა №2“, გამოკრული უნდა იყოს მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილზე.

საეჭვო შემთხვევების გამოვლენის შემთხვევაში მოქმედებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზი – 15 01.

# ერედვის გამგებელმა 1 ლარად ნაჩუქარი ბინა 10.000 ლარად გაყიდა

ერედვის გამგებელ ოთარ ცოტნიაშვილს, როგორც დევნილის სტატუსის მქონე პირს, 2016 წელს საქართველოს მთავრობამ საგურამოში მდებარე საცხოვრებელი ბინა 1 ლარად გადასცა. 2017 წლის 28 ნოემბერს ოთარ ცოტნიაშვილმა ეს ბინა 10.000 ლარად გაყიდა.



საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2016 წლის 12 აპრილს, ოთარ ცოტნიაშვილისთვის გადაცემული ბინა 60 კვ. მეტრია.

სახელმწიფოსგან ბინის გადაცემამდე ერედვის გამგებელს უკვე ჰქონდა საკუთარი ბინა. ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის №6-ში მდებარე ბინა, რომლის ფართობიც 109 კვ.მ-ია, ერედვის გამგებელმა 2015 წლის 3 დეკემბერს 50.000 აშშ დოლარად იყიდა.

ოთარ ცოტნიაშვილი ერედვის გამგებლის თანამდებობას 2014 წლიდან იკავებს. ამჟამად მისი ხელფასი თვეში 2.950 ლარია. ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, ოთარ ცოტნიაშვილის წლიური ხელფასი 2016 წელს 37.100 ლარი იყო, 2017 წელს კი 35.725 ლარი.

საჯარო სექტორშია დასაქმებული ერედვის გამგებლის მეუღლე მარინა ქრისტესიაშვილიც. იგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტად მუშაობს. მისი წლიური ანაზღაურება 21.955 ლარია.

# ირაკლი ბურდილაძე: „ცენტრ-პოინტის“ დაზარალებული 4.000-მდე ოჯახი ბინებს სამი წლის განმავლობაში მიიღებს“



კომპანია m2-ის გენერალურ დირექტორ ირაკლი ბურდილაძის განცხადებით, „ცენტრ-პოინტის“ მიერ წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, m2 კომპანიის მშენებლობებს დაასრულებს და ბინას ყველა დაზარალებული ოჯახი მიიღებს. მისი თქმით, „ცენტრ პოინტს“ წინაპირობების შესასრულებლად ექვსითვიანი ვადა აქვს. ერთ-ერთი წინაპირობა კი მიწის ნაკვეთების გამიჯვნაა.

– დაახლოებით 4.000 ოჯახი 3 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაკმაყოფილდება ბინებით, რომლებიც „ცენტრ-პოინტს“ უნდა გადაეცა მათთვის დიდი ხნის წინ. წინაპირობა ძალიან ბევრი და სპეციფიკურია. ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი წინაპირობა არის მიწის ნაკვეთების გამიჯვნა.

ნაკვეთებში, სადაც „ცენტრ-პოინტი“ აწარმოებს მშენებლობებს, ასევე მოიაზრება თავისუფალი ტერიტორიები, სადაც მშენებლობები არ დაწყებულა ან საერთოდ არ იგეგმებოდა. საუბარა ამ ე.წ. თავისუფალი მიწის გამოყოფაზე დარჩენილი მიწის ნაკვეთიდან, სადაც უკვე მიმდინარეობს პრობლემური მშენებლობის წარმოება და შემდგომში, ამ თავისუფალი მიწის ნაკვეთის m2-ზე გადმოცემა, რის სანაცვლოდ m2 „ცენტრ-პოინტს“ გაპრობლემებულ მშენებლობას დაუსრულებს, – განაცხადა m2-ის გენერალურმა დირექტორმა.

ირაკლი ბურდილაძე განმარტავს, რომ აღნიშნული გარიგებიდან m2 რაიმე სერიოზული მოგების მიღებას არ გეგმავს და შესაძლოა, პროექტების დასრულებას დამატებითი ხარჯებიც ახლდეს. მისი თქმით, კომპანიისთვის მნიშვნელოვანია იმ მწვავე სოციალური პრობლემის მოგვარება რაც საზოგადოებას, სახელმწიფოსა და დაზარალებულ ოჯახებს შეექმნათ.

– ჩვენ იმასაც კარგად ვაცნობიერებთ, რომ ამ პროექტის დასრულებას შეიძლება დამატებითი ხარჯები ახლდეს. ეს გამოჩნდება, როცა კონკრეტულ ობიექტებზე შევალთ, დავიწყებთ სამშენებლო სამუშაოებს და დეტალურ ანალიზს ჩავატარებთ. ახლა გვაქვს დაახლოებითი ბიუჯეტი, თუ რა დაჯდება ამ ობიექტების დასრულება. სავარაუდოდ ბიუჯეტი გაიზრდება, როდესაც დეტალურ ანალიზს ჩავატარებთ, – განაცხადა ბურდილაძემ.

კომპანია „m2 უძრავ ქონებასა“ და „ცენტრ-პოინტს“ შორის წინასწარი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, თუ ექვსი თვის ვადაში „ცენტრ-პოინტი“ გარკვეულ წინაპირობებს შეასრულებს, m2 „ცენტრ-პოინტის“ დაუსრულებელ კომპლექსებში სამშენებლო სამუშაოების წარმოებას დაიწყებს და 3 წლის ვადაში დაასრულებს.

# ბიზნესსახლის ტენდერის შედეგი გაასაჩივრეს



თბილისში ბიზნესსახლის მშენებლობის ტენდერი ამხანაგობა „ბიზნესსახლმა“ გაასაჩივრა. შესაბამისი განაცხადი შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოშია შესული და განხილვის პროცესშია.

საუბარია 71 მილიონ 621 ათას ლარიან ტენდერზე, რომელშიც გამარჯვებულად „დაგი“ გამოცხადდა. შესყიდვის მიხედვით, უნდა აშენდეს ბიზნესსახლი, რომელიც ბიზნესისთვის ერთი ფანჯრის პრინციპით იმუშავებს და კერძო სექტორს 600-მდე მომსახურებას ერთ სივრცეში შესთავაზებს.

„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ სატენდერო კომისიამ გამარჯვებული 30 მარტს დაასახელა. კომისიამ „დაგის“ მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და აუდიტორული ანგარიში კანონთან შესაბამისად ჩათვალა.

თუმცა, ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ამხანაგობა „ბიზნესსახლი“, რომელიც ასევე იყო ტენდერის ერთ-ერთი მონაწილე. ამხანაგობა „ბიზნესსახლი“ ტენდერიდან „დაგის“ დისკვალიფიკაციას სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის გამო ითხოვს.

მომჩივანი მხარე მიუთითებს, რომ კომპანია „დაგი“ ვერ აკმაყოფილებს იმ ნაწილს, რომლითაც პრეტენდენტს მოეთხოვება: არანაკლებ IV კლასის/კატეგორიის დასრულებული სახის ნაგებობის მშენებლობის სამუშაოები, რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს არანაკლებ 20.000 მ2-ს.

– სატენდერო კომისიის მხრიდან აშკარად მცდელობა აქვს სატენდერო პირობების ინტერპრეტაციას და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო პირობებთან შეუსაბამო დოკუმენტაციაზე მორგებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ სატენდერო პირობების ტენდერის ჩატარების შემდეგ შეცვლილი ფორმულირება და ინტერპრეტირება აშკარად დისკრიმინაციულია და კონკურენციის პირობების დარღვევაა, რადგან სატენდერო პირობებით ნათლად ჩანდა მოთხოვნილი 3 კომპონენტის დაკმაყოფილების აუცილებლობა, ტენდერის ჩატარების შემდეგ კი სატენდერო კომისიამ აღმოაჩინა, რომ მოთხოვნილი კომპონენტები დუბლირებულია და ერთმანეთს მოიცავს. შესაბამისად, სატენდერო პირობების ახლებური ინტერპრეტაციით აშკარაა, რომ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის საშუალება მიეცემოდა არაერთ სამშენებლო კომპანიას, რომლებმაც სწორედ მაღალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ვერ შეძლეს ტენდერში მონაწილეობის მიღება, – ნათქვამია საჩივარში.

თბილისში „ბიზნესსახლის“ მშენებლობაზე ტენდერი მუნიციპალური განვითარების ფონდმა 18 იანვარს გამოაცხადა. მასში სამი კომპანია: შპს „დაგი“, ამხანაგობა „ბიზნესსახლი“ და „სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკორდი“ მონაწილეობდნენ. ამ უკანასკნელის დოკუმენტაცია თავის დროზე კომისიამ საერთოდ ვერ შეაფასა იმის გამო, რომ ის შესაბამის ველში ატვირთული არ იყო, ხოლო ამხანაგობა „ბიზნესსახლს“ დისკვალიფიკაცია მიეცა.

# ირაკლი ზარქუა: „არ შეიძლება ყოველ ნაბიჯზე გარევაჭრობა. განსაკუთრებით ეს ეხება ცენტრალურ უბნებს“



თბილისში შესაბამისი ნებართვის გარეშე გარევაჭრობა სატრანსპორტო და მასზე მისაბმელი საშუალებით ან სხვა მექანიკურად მოძრავი საშუალების გამოყენებით 1.000- ლარიან ჯარიმას ან საგნის კონფისკაციას გამოიწვევს. შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის. ცვლილებებით თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო გარევაჭრობა 20 ლარის ნაცვლად 50 ლარით, ხოლო იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში 300 ლარით დაჯარიმდება.

ბოლო პერიოდის განმავლობაში თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა“ თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ.

***– რამდენად მკაცრია პოლიტიკა, რომელსაც თბილისის მერია ატარებს. თქვენ რამდენად იზიარებთ მის ხედვებს?***

– მოუწესრიგებელი გარევაჭრობა დიდი პრობლემაა დედაქალაქისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს არაპოპულარული გზაა და ვერცერთმა მთავრობამ ვერ გადადგა ეს ნაბიჯი, ჩვენ ვცდილობთ, დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ვთქვათ, ძველ თბილისში მისაბმელიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას უნებართვოდ. ამ შემთხვევაში ჯარიმა 20 ლარი იყო. კანონდამრღვევები მზად იყვნენ, გადაეხადათ ეს თანხა. შესაბამისად, დაბალი სანქცია შედეგს არ გვაძლევდა. ეს იწვევდა დაბინძურებულ გარემოს, საპარკინგე საშუალების სამეწარმეო საქმიანობად გამოყენებას, ასევე იმ არეალში ქმნიდა საცობებს. აქედან გამომდინარე, დადგა საჭიროება, რომ პრევენცია მოგვეხდინა. მერიას ექნება კონკრეტული ადგილები კონკრეტული პირობებით. არ შეიძლება ყოველ ნაბიჯზე გარევაჭრობა. განსაკუთრებით ეს ეხება ცენტრალურ უბნებს.

***– თქვენ ახსენეთ ალტერნატიული ზონები. რამდენად მოახერხებენ ის ადამიანები, რომლებიც გარევაჭრობით არიან დაკავებული, სხვა ადგილზე გადასვლას?***

– სანამ კანონპროექტი ძალაში შევა, მანამდე საკრებულო და მერიის შესაბამისი სამსახურები ვმუშაობთ, თუ რა ალტერნატივა შეიძლება იყოს შეთავაზებული როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის. გარკვეული ვნებათაღელვა მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ჩვენ ზუსტად ვიცით, თბილისს ეს სჭირდება იმისთვის, რომ ვიცხოვროთ სუფთა, მოწესრიგებულ დედაქალაქში, სადაც ყველაფერი კეთდება კანონის მიხედვით და არა ქაოსურად. ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალაქის იერსახის დამახინჯება. ჩვენ ვთქვით, რომ იქ, სადაც იქნება სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობის ფასადებზე, ვიტრინებზე, იქნება დასჯადი.

**კომერსანტი**

# ბექა ნაცვლიშვილი: „უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით ზოგადად ქვეყანაში რთული ვითარებაა შექმნილი“



– ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა და იმ საწარმოებში, სადაც არის მომატებული რისკი, სადაც არის ალბათობა, რომ ადამიანი შესაძლოა დაზიანდეს, გადამოწმების შემდეგ აუცილებლად სახელმწიფო მმართველი უნდა შევიდეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე ბექა ნაცვლიშვილმა ტყიბულში ჟურნალისტებს განუცხადა.

ნაცვლიშვილმა ისაუბრა მაღაროში მომხდარ უბედურ შემთხვევაზე, რომელსაც ექვსი მუშა ემსხვერპლა და განაცხადა, რომ უსაფრთხოების ნორმების გამოსწორებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

– უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით ზოგადად ქვეყანაში რთული ვითარებაა შექმნილი.

პირველი, უნდა გაკეთდეს ის, რომ დაუყოვნებლივ ყველა მძიმე, მავნეპირობებიან სამუშაოებში და განსაკუთრებით სამთო-მომპოვებელ სფეროში უნდა შევიდნენ როგორც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, ისე ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტები. მეორე – დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა შევიდეს სახელმწიფო დროებითი მმართველი, რა თქმა უნდა, შრომით კოლექტივთან და თავად კერძო მფლობელთან ერთად. ვიდრე სიტუაცია არ გამოსწორდება, მანამდე კერძო მფლობელს არ უნდა გადაეცეს ეს საწარმო სამართავად და მესამე – როდესაც სიტუაცია გამოსწორდება, შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მხოლოდ კერძო მფლობელს სამართავად. თუ შემდგომშიც განმეორდება ასეთი რამ, მაშინ შესაბამისად უნდა მოხდეს ამ საწარმოების ნაციონალიზაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის ყველა ჩვენი მოქალაქის სიმდიდრე, ეს არის წიაღისეული, რომელიც ჩვენ ყველას გვეკუთვნის და, თუ კერძო მეწარმეები მას სათანადოდ ვერ განკარგავენ, ასევე, თუ არ შეუძლიათ, უზრუნველყონ ადამიანების სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემო, მაშინ, შესაბამისად, ეს უნდა გააკეთოს სახელმწიფომ. ჭიათურაში არის სახელმწიფო მმართველი შესული ეკოლოგიური დარღვევების გამოსწორების მიზნით.

ეკოლოგიური პრობლემებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა პრობლემები, მაგრამ, როდესაც საფრთხე დგება ადამიანის სიცოცხლის, ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა და იმ საწარმოებში, სადაც არის მომატებული რისკი, სადაც არის იმის ალბათობა, რომ ადამიანი შესაძლოა დაზიანდეს, გადამოწმების შემდეგ სახელმწიფო მმართველი უნდა შევიდეს, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

# დავით მუმლაძე: „სამშენებლო სფეროში არსებულ მდგომარეობას მხოლოდ რეგულაცია ვერ შეცვლის და შესაბამისი ბერკეტების ქონაა საჭირო“

– ახალი სამშენებლო რეგულაციების მიზანი არის ის, რომ სამშენებლო პირობები მაქსიმალური ეფექტურობით იყოს უზრუნველყოფილი.

ამის შესახებ OK & CG-ის ადვოკატმა დავით მუმლაძემ რადიო „კომერსანტის“ გადაცემა „ადვოკატის საათში“ საუბრისას განაცხადა.

როგორც მუმლაძე აცხადებს, ახალ სამშენებლო რეგულაციაში საკმაოდ ბევრი ნიუანსია გათვალისწინებული, რაც დეველოპერებმა უნდა დაიცვან. ადვოკატის თქმით, სამშენებლო კომპანიები დროთა განმავლობაში რეგულაციებს ფეხს უკეთ აუწყობენ.

მისივე თქმით, იმისათვის, რომ სამშენებლო სფეროში ახალმა რეგულაციებმა თავი დაიმკვიდროს, შემდგომ ეტაპზე მშენებლობების სწორი მონიტორინგია საჭირო, რადგან, როდესაც დეველოპერები მშენებლობის ნებართვას მოიპოვებენ, შემდგომი ეტაპი მისი სრულყოფილად, პროექტის შესაბამისად განხორციელება უნდა იყოს.

– სამშენებლო სფეროში ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეგულაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან გამკაცრებულია. მათ შორის რამდენიმე ნორმატიული აქტი იქნა შემუშავებული. ერთ-ერთი, რომლის გამოყოფაც შეიძლება, ტექნიკური რეგლამენტია, რომელიც მშენებლობის უსაფრთხოების წესს განსაზღვრავს.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული დადგენილებით, რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, დეველოპერებს შეღავათი მიეცათ. აღნიშნული რეგლამენტი დეველოპერებს ახალი რეგულაციების მიხედვით მშენებლობის წარმოებას არ უკრძალავდა სამშენებლო სფეროში რეგლამენტი დასახვეწია და ის დროთა განმავლობაში კიდევ შეიცვლება, – განაცხადა დავით მუმლაძემ.

ადვოკატის განცხადებით, ქვეყანაში პროფესიონალი კადრების პრობლემაა და ეს დეველოპერებს ხელს უშლის. როგორც მუმლაძე აღნიშნავს, სწორედ ამ მიზეზით ბევრი დეველოპერი ახალ სამშენებლო რეგულაციებს მოუმზადებელი დახვდა.

– ბოლო დროს ხშირი იყო შემთხვევა, რომ შენობებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები არ გააჩნდა, ამიტომ კიდევ ერთი ნაწილი სწორედ ხანძარსაწინააღმდეგო საკითხებს შეიძლება ეხებოდეს.

სამშენებლო სფეროში არსებულ მდგომარეობას მხოლოდ რეგულაცია ვერ შეცლის. ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მხრიდან შესაბამისი ბერკეტების ქონაა საჭირო.

დადგენილებას, რომელიც შემუშავებულ იქნა, დეველოპერების დიდი ნაწილი მოუმზადებელი დახვდა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოში, დღეის მდგომარეობით, შესაბამისი კადრების ნაკლებობაა. მაგალითად, დეველოპერებმა ექსპერტიზის დასკვნები უნდა წარადგინონ, რაც პროექტის შესაბამისობას განსაზღვრავს. დეველოპერებს ასეთი ადამიანების ნახვა უჭირთ. მათი რიცხვი მწირია, – განაცხადა მუმლაძემ.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ დადგენილებაში ცვლილებები უკვე შევიდა.

ცვლილებების შედეგად ნებართვის მიღების პროცესშივე იქნება აუცილებელი გამწვანების გეგმის წარმოდგენა, იქ არსებული ხეების აღრიცხვა და გამწვანების ახალი გეგმის წარდგენა.

ასევე, 4.000 კვ/მ-ზე დიდი ნაგებობის მშენებლობის ნებართვის მისაღებად დეველოპერებს საწყის ეტაპზევე დასჭირდებათ სატრანსპორტო კვლევი-



სა და სატრანსპორტო რეგულირების სქემის წარმოდგენა.

ამასთან, დეველოპერი ვალდებული იქნება, განათავსოს საინფორმაციო დაფა, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტზე გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველ ინფორმაციას, მათ შორის, გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს; გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას.

(მათ შორის, დახასიათება, ხნოვანება, სიმაღლე); გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს; შეთანხმებულ გამწვანების პროექტს, რომელიც უნდა იყოს ვიზუალურად გამოსახული, მაკეტი ან/და ფოტომონტაჟი.

მთავრობის დადგენილების თანახმად, რეგულაციები 22 თებერვლიდან ამოქმედდა.

**კომერსანტი**

# რა საფრთხეს იწვევს ირანის ბირთვული შეთანხმების ჩაშლა

## რუსეთი, ირანი და თურქეთი თანამშრომლობას აგრძელებენ

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოს წინაშე მდგარი მთავარი პრობლემებიდან ამერიკელი ანალიტიკოსები პირველ რიგში ახლო აღმოსავლეთს ასახელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა დააანონსა სირიიდან ამერიკელი სამხედროების გამოყვანა, ეს არ მოხდება. პენტაგონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ჯარი სირიაში დარჩება.

სირიის დატოვებას არც რუსეთი გეგმავს. ჯერჯერობით არ იშლება სირიის გარშემო ჩამოყალიბებული რუსეთ-ირან-თურქეთის ალიანსი. თურქეთში ამ სამეულის პრეზიდენტების მორიგ სამიტზე გადაწყდა, რომ მხარეები ამ ფორმატში თანამშრომლობას გააგრძელებენ. მათი მორიგი შეხვედრა ირანში შედგება. მოსკოვი, თეირანი და ანკარა აცხადებენ, რომ გააგრძელებენ ერთობლივ ბრძოლას „ისლამური სახელმწიფოს“, „ჯებჰატ ან-ნუსრასა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების საბოლოო ლიკვიდაციამდე.

ირანის წინააღმდეგ ერთიანდებიან რეგიონის სახელმწიფოები. ექსპერტების თქმით, ირანის ექსპანსიონიზმმა, მისი მხრიდან ბირთვული და სხვა სახის იარაღის გამოყენების საშიშროებამ შეკრა ისრაელი და არაბული სახელმწიფოები. საუდის არაბეთის გარდა, ამ სახელმწიფოებში იგულისხმება არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ყატარი, ბაჰრეინი და ომანი.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ საუდის არაბეთის პრინცი აყალიბებს ანტიირანულ კოალიციას. მასში მოიაზრებიან ასევე იორდანია და ეგვიპტე.

ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ფარული კონტაქტები 2014 წელს დაიწყო. ეს განაპირობა ირანის ზრახვებმა და ენერგომატარებლებზე ფასების დაცემამ.



დღეს ისრაელი არაბულ სახელმწიფოებთან უკვე ღიად თანამშრომლობს. მათ შორის უთანხმოებები არსებობს, განსაკუთრებით – პალესტინის საკითხში, მაგრამ ირანის ფაქტორმა რეგიონის ბევრი ქვეყანა ერთად დააყენა. ამას ტექტონიკურ ძვრებად მიიჩნევენ.

ირანის მოძლიერებას ბოლო წლებში უკავშირებენ მასთან გაფორმებულ ბირთვულ შეთანხმებას, რომლისს საფუძველზეც თეირანს სანქციები მოეხსნა.

პრეზიდენტი ტრამპი ირწმუნება, რომ ირანი ამ შეთანხმებას არ ასრულებს. იგი არ გამორიცხავს ამ შეთანხმებიდან გამოსვლას. ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს იქნება თეირანის წისქვილზე წყლის დასხმა. ამას მოჰყვება ვაშინგტონის იზოლაცია. მოკავშირეების გარეშე აშშ ირანს ვერ გაუმკლავდება. ამ ისლამური სახელმწიფოს შეკავება ყოველთვის ხდებოდა დასავლეთის ერთობლივი ძალებით. ბირთვულ შეთანხმებაზე ირანის დაყოლიება მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა ირანულ ნავთობს ბოიკოტი გამოუცხადა.

ექსპერტების აზრით, ბირთვული შეთანხმების ჩაშლა არ იმოქმედებს იმ სფეროზე, სადაც ირანი უფრო საშიშია. შეთანხმების დარღვევა ვერ შეაჩერებს თეირანის ექსპანსიას მთელ რეგიონში.

ანალიტიკოსები ახლო აღმოსავლეთში ნატოს წევრი სახელმწიფოების – აშშ-ისა და თურქეთის დაპირისპირებასაც ვარაუდობენ.

ანკარისა და ვაშინგტონის ინტერესები ერთმანეთს ქურთების მიმართ დამოკიდებულებაში არ ემთხვევა. თურქეთი სირიაში ბოლო დროს ყოველთვის აშშ-სთან შეთანხმებით არ მოქმედებდა, მაგრამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა არ გაფუჭებულა. თურქი ექსპერტები ამერიკასთან თანამშრომლობას ისევ სასურველად მიიჩნევენ. მათი აზრით, რეგიონში გეოპოლიტიკური ვაკუუმი აშშ-ის თანხმობით უნდა ამოავსოს თურქეთმა, რომელსაც ყველასთან შეუძლია თანამშრომლობა. თურქეთს მტრულ ბანაკში მოიაზრებს საუდის არაბეთის პრინცი სალმანი. იგი თურქეთის პრეზიდენტს ექსტრემისტულ ორგანიზაცია „ძმები მუსლიმებთან“ კავშირს ედავება.

ევროპელი ექსპერტები გარდაუვალად მიიჩნევენ ახლო აღმოსავლეთში თურქეთის დაპირისპირებას აშშ-სთან.

გამოითქმის ასევე პროგნოზები არაბეთ-ისრაელის კოალიციის ირანთან პირისპირ შეჯახებაზე.

## ბობ პორტმანი: „აშშ მზადაა, რუსეთს დონბასსა და ყირიმში დაუპირისპირდეს!“



ამერიკელი სენატორი ბობ პორტმანი უკრაინას ესტუმრა. ის დონბასში გაემგზავრა, პოზიციებზე გავიდა, იქ მყოფ უკრაინელ ჯარისკაცებს გაესაუბრა. კიევში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პორტმანმა უკრაინის სამხედრო აღმშენებლობას მაღალი შეფასება მისცა.

– უკრაინამ მართლაც ბრძოლისუნარიანი არმია შექმნა, – თქვა მან.

სენატორი დონბასში შექმნილ მდგომარეობას დაწვრილებით შეეხო. მან თქვა, რომ მიუხედავად „სააღდგომო ზავისა“, დონბასში მშვიდობამ არ დაისადგურა. უკრაინელ სამხედროებზე თავდასხმები გრძელდება, მეტიც, მათზე სნაიპერები ნადირობენ. პორტმანმა განაცხადა, რომ პირადად იხილა, რუსი სნაიპერი უკრაინელებს ცეცხლს როგორ უხსნიდა.

– მადლობა ღმერთს, ამჯერად მსხვერპლი არ ყოფილა, – თქვა სენატორმა და დაამატა, რომ მალე აშშ უკრაინას გადასცემს აღჭურვილობას, რათა სნაიპერებისგან თავი დაიცვას.

პორტმანმა თქვა, რომ დონბასსა და ყირიმზე დღეს ნამდვილი ფრონტის ხაზი გადის. პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია მზადაა, უკრაინას სრულფასოვანი დახმარება აღმოუჩინოს. შემთხვევითი არაა, რომ ტრამპის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების თაობაზე. სამხედრო დახმარება მომავალშიც გაგრძელდება.

– აშშ მზადაა, დონბასსა და ყირიმში რუსეთს დაუპირისპირდეს! – თქვა პორტმანმა.

ამავე დროს, ამერიკელმა სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს უკრაინის ძირითადი პრობლემაა ხელისუფლების გაუმჭვირვალობა, კორუფცია, ჭეშმარიტი რეფორმების არარსებობა. მან განაცხადა, რომ თუ უკრაინამ დაძლია კორუფცია, მიაღწია კანონის უზენაესობას, რეფორმებიც წარმატებით დაგვირგვინდება, ეს კი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის უმთავრესი გარანტია.

– ამ შემთხვევაში უკრაინაში ინვესტიციები უხვად წამოვა, – ამბობს პორტმანი.

## პუჩდემონი გამოუშვეს



გერმანულმა სასამართლომ საპროცედურო შეთანხმების შედეგად კატალონიელი სეპარატისტების ლიდერი, პუჩდემონი, გაათავისუფლა. მას 75.000 ევროს გადახდა მოუხდა.

სასამართლომ ასევე გადადო პუჩდემონის ექსტრადირება.

ესპანეთის სეპარატისტების ლიდერს აჯანყებისაკენ მოწოდებას სდებენ ბრალად. გერმანულმა სასამართლომ ამის დამამტკიცებელი საბუთები არადამაჯერებლად მიიჩნია. ამავე დროს, გერმანელები არ გამორიცხავენ, რომ პუჩდემონს ესპანელებს გადასცემენ მეორე ბრალდების გამო, რომელიც სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისებაში მდგომარეობს.

## სამხრეთ კორეის ექსპრეზიდენტს 24 წელი მიუსაჯეს

სეულში სამხრეთ კორეის ექსპრეზიდენტი, პაკ კინ ხე, გაასამართლეს. მას ბრალად კორუფცია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფო საიდუმლოებების გაცემა ედებოდა.

პაკ კინ ხეს 24 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ცოტა ხნით ადრე პაკ კინ ხე დაუსწრებლად ფხენიანშიც გაასამართლეს. მას ბრალად დასდეს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინზე ტერაქტის ორგანიზება და სიკვდილი მიუსაჯეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს სპექტაკლი იყო.

– პაკ კინ ხეს მრავალი ქვეყნის, მათ შორის ჩრდილოეთ კორეის, სპეცსამსახურებთან ჰქონდა კავშირი. დაუსწრებლად გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი სხვა არაფერია, თუ არა მისთვის რეკლამის გაკეთების მცდელობა, აქაოდა, დიქტატურას ებრძოდა და კორეის გაერთიანებას ესწრაფვოდაო, – აცხადებს ვიტალი პორტნიკოვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## აშშ-მ სანქციები გაზპრომის ხელმძღვანელ მილერსაც დაუწესა

აშშ-მ რუსეთთან მიმართებით სასანქციო სია გააფართოვა.



აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, სასანქციო სიაში 26 პირი და 15 კომპანია მოხვდა.

სასანქციო სიაში მოხვედრილ პირებს შორის არიან ცნობილი რუსი ბიზნესმენები: ოლეგ დერიპასკა, სულეიმან კერიმოვი, იგორ როტენბერგი, ვიქტორ ვექსელბერგი.

სასანქციო სიაში ასევე მოხვდნენ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი და „გაზპრომის“ ხელმძღვანელი ალექსეი მილერი.

## ბრიტანეთის სპეცსამსახურები: „ნოვიჩოკი“ სარატოვის მახლობლად დაამზადეს“

### სკრიპალი უკეთ გახდა

ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა დაადგინეს ლაბორატორია, სადაც მომწამვლელი გაზი, „ნოვიჩოკი“, შეიქმნა. როგორც ცნობილია, ამ გაზით გრუ-ს ყოფილი პოლკოვნიკი სკრიპალი და მის ქალიშვილ იულია მოწამლეს.

– ლაბორატორია, სადაც „ნოვიჩოკი“ შეიქმნა, რუსეთის ტერიტორიაზე, სარატოვის



მახლობლად მდებარეობდა, – აცხადებენ ინგლისელი მზვერავები.

ბრიტანელი ძალოვნების აზრით, „ნოვიჩოკი“ საზღვარგარეთ პოლიტიკური მკვლელობებისთვის დაამზადეს.

სკოტლანდ იარდმა იულია სკრიპალის წერილი გამოაქვეყნა. მასში გოგონა მადლობას უხდის იმ ადამიანებს, რომლებმაც პირველი დახმარება გაუწიეს.

პარასკევს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სერგეი სკრიპალის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა. ის აღარ არის კრიტიკულ მდგომარეობაში.

ამის შესახებ ნათქვამია ინგლისის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის საიტზე.

– ის კარგად რეაგირებს მკურნალობაზე და მისი ჯანმრთელობა სწრაფად უმჯობესდება. ის აღარ არის კრიტიკულ მდგომარეობაში, – ნათქვამია ექიმების განცხადებაში.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## შხამიანი გველი ავსტრალიელს შარვალში შეუძვრა

შხამიანი ვეფხვისებური გველი ავსტრალიელს თევზაობის დროს შარვლის ტოტში შეუძვრა, მაგრამ მისი უვნებლად გამოყვანა შეძლო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის მცხოვრები ჩაინა გიბსონი აბურდული ანკესის ძუის გახსნით იყო დაკავებული, როდესაც იგრძნო, რომ ჯინსის შარვლის მარცხენა ტოტში ვეფხვისებური გველი შეუძვრა. ქვეწარმავალმა იქ თავი ძაღლებისგან თავის დასაღწევად შეაფარა.



მიუხედავად შიშისა, გიბსონი არ დაიბნა და გველის თავი რკინის მარწუხებით დაიჭირა, რათა მისთვის არ ეკბინა, შემდეგ თავადვე გამოაძრო შარვლის ტოტიდან და ღრიალით რაც შეიძლება შორს მოისროლა. ამ ინციდენტის შედეგად არც გიბსონი და არც გველი არ დაშავებულან.

აღსანიშნავია, რომ ვეფხვისებური გველი ხმელეთის ერთ-ერთ ყველაზე შხამიან გველად ითვლება და ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია. მის კბენის შედეგად ადამიანის დაღუპვის ალბათობა ძალიან მაღალია.

## ავსტრალიელმა ფერმერმა საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლო გაამხილა

ავსტრალიელმა ფერმერმა საკუთარი ცხოვრების შესახებ ისაუბრა და აღიარა, რომ მიუხედავად 95 წლის ასაკისა, მუშაობისთვის თავის დანებებას არ აპირებს. მას ადგილობრივი ახალი ამბების პორტალის ჟურნალისტი ესაუბრა.

რიკ პიზატურო 1922 წელს იტალიაში დაიბადა. მეორე მსოფლიო ომის დროს ის ანტიჰიტლერული კოალიციის წარმომადგენლებ-




მა ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი ავსტრალიაში გადაასახლეს. იქ ის ფერმაში მოეწყო სამუშაოდ, კვირაში შვიდი დღე გამთენიიდან მზის ჩასვლამდე მუშაობდა და მას შემდეგ მისი მუშაობის გრაფიკი არ შეცვლილა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში პიზატურომ ავსტრალიაში ერთ-ერთი უმსხვილესი საქონლის ფერმა შექმნა.

— ზოგჯერ საღამოს ათ ან თერთმეტ საათამდე ვმუშაობ, — განაცხადა ფერმერმა და იქვე დაამატა, რომ პენსიაზე გასვლას არ აპირებს და საკუთარი მამის მაგალითით ცხოვრობს, რომელიც 101 წლის ასაკში გარდაიცვალა და რომელიც სიცოცხლის ბოლო დღემდე შრომობდა.

— არ შეიძლება, დაწვე და მთელი დღე იწვე, უბრალოდ, გული გაჩერდება, — განმარტა პიზატურომ. ის სარგებლობს მობილური ტელეფონით და ეამაყება, რომ შეუძლია, საქმიანი პარტნიორების მიერ გამოგზავნილ ელექტრონულ წერილებს სწრაფადვე უპასუხოს.

## ავსტრალიელი ქალი საყვირივით ხმისთვის სახლიდან გამოაგდეს

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის სანშაინ-კოსტის რაიონში ხანდაზმული ქალი მისი ხმის გამო სოციალური სახლიდან გამოასახლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ხმის მყესების დაავადების გამო, ქალი ლაპარაკობდა ხმით, რომელიც თბომავლის საყვირის ხმას წააგავდა. მეზობლები ხმაურის გამო წუხდნენ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალის ქმედება არასასურველად მიიჩნია და გადაწყვიტა, მისთვის იჯარის ხელშეკრულება გაეუქმებინა.

ქალმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ გადაწყვეტილების გაუქმებას ვერ მიაღწია. მან აპელაცია შეიტანა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მისი ხმა ფსიქიკური აშლილობის შედეგია და რომ ის კონტროლს არ ექვემდებარება. სასამართლომ დაადგინა, რომ ხმოვანი მყესების დაავადების გარდა, ქალს ასევე აწუხებდა პარანოიდული შიზოფრენია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და ართრიტი. ადვოკატმა სასამართლოს მოუწოდა, პრობლემის მოგვარების ალტერნატიული მეთოდები განეხილა: მაგალითად, ბინის ხმის იზოლაციის გაუმჯობესება ან მისი ისეთ ადგილზე გადაყვანა, სადაც მისი ხმა მეზობლებს არ შეაწუხებდა.

საქმის განმხილველმა მოსამართლემ აღიარა, რომ ქალს არ შეუძლია საკუთარი ქმედებების გაკონტროლება, თუმცა მისი გასახლების გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ დაინახა.

## უპატრონო ძაღლი რკინიგზის სადგურის უფროსი გახდა

იაპონიაში ცნობილი ძაღლი, ვასაო, აომორის პრეფექტურის ქალაქ აძიგასავას რკინიგზის სადგურის საპატიო უფროსად



დანიშნეს.

აძიგასავას რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედანზე გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც პროექტ „ვასაოს“ ხელმძღვანელმა ტაკესი კუდომ ძაღლის დანიშვნის თაობაზე წერილი წაიკითხა. ვასაოს მოადგილედ იმსახურებს მისი მეგობარი ცუბაკი, ხოლო მათი ორი წლის ლეკვი, ტემე, სტაჟიორი გახდება.

იმავე დღეს ისინი თავიანთი მოვალეობების შესრულებას შეუდგნენ და მიესალმნენ აძიგასავას რკინიგზის სადგურში შემოსულ სასეირნო მატარებელს. ტურისტები ვაგონების ფანჯრიდან ძაღლებს ხელს უქნევდნენ და სურათებს უღებდნენ.



## კოკა-კოლა ნახშირის გემოს მქონე სასმელს გამოუშვებს

კომპანია კოკა-კოლა გამოუშვებს სასმელების ხაზს Zero Sugar სამი ახალი — ავოკადოს, მარინადისა და აქტივირებული ნახშირის გემოთი. ბრენდის მფლობელები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს „ინსტაგრამის თაობის“ მყიდველებს მიიზიდავს.

— მათ არა მხოლოდ შესანიშნავი გემო ექნებათ და ამავე დროს არ შეიცავენ შაქარს, არამედ სოციალურ ქსელებში ნებისმიერი ფოტოს შესანიშნავ ატრიბუტად იქცევიან და უამრავ მოწონებას მიიღებენ, — განაცხადეს კოკა-კოლას კომპანიაში.

ავოკადოს აღწერენ როგორც გემრიელსა და ნოყიერს, „ნახშირის“ ხაზი პირობას იძლევა, გაწმინდოს და განაახლოს ორგანიზმი, ხოლო მარინადის გემო მყიდველებს სიმჟავით გააკვირვებს. მწარმოებლები თავდაპირველად ალუბლის, ვანილისა და ლიმონის გემოს განიხილავდნენ, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტეს, არჩევანი უფრო ექსტრემალურ ვარიანტებზე შეეჩერებინათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**ბუკინისტი შეისყიდის**

**XVIII-XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს 1500 ლარად**

**ხელნაწერებს, გრავიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს, ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჭურჭელს.**



**591-75 35 38**

## განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ინგლისში სამი დერბია



**სტატისტიკა, ფსონები**

**როდესაც საქართველოში ბრწყინვალე დღესასწაულის უქმეებია, ევროპაში სუპერტურია. მარტო ინგლისში 3 დერბია, მაგრამ ჩელსი-ვესტ ჰემი რა მოსატანია ევერტონ-ლივერპულთან და სიტი-მანჩესტერთან. დერბია ესპანეთში – რეალი-ატლეტიკო. მოკლედ, უქმეებზე კარგი გასართობია.**

**ინგლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.04 ევერტონი-ლივერპული | 4.0 | 3.6 | 1.91 |
| 07.04 ლესტერი-ნიუკასლი | 1.95 | 3.5 | 3.75 |
| 07.04 უოტფორდი-ბარნლი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 07.04 ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 1.8 | 3.3 | 4.8 |
| 07.04 ბორნმუთი-კრ.პალასი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 07.04 ვესტ ბრომვიჩი-სუონსი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 07.04 სტოკი-ტოტენჰემი | 9.0 | 4.8 | 1.33 |
| 07.04 სიტი-მანჩესტერი | 1.91 | 3.6 | 4.0 |
| 08.04 არსენალი-საუთჰემპტონი | 1.55 | 4.2 | 5.5 |
| 08.04 ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.28 | 5.0 | 12.0 |

**ევერტონი-ლივერპული**

ევერტონი: ***ტრავმ***-ტომ დევისი, მეისონ ჰოლგეიტი, იდრის გუიე, გიფლი სიგურდსონი, ელაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკკარტნი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯოე გომესი

**ლესტერი-ნიუკასლი**

ლესტერი: ***ტრავმ***-მეტ ჯეიმსი, დანიელ ამარტეი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-რობ ელიოტი, ხესუს გამესი

**უოტფორდი-ბარნლი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ჟერარდ დეულოფე, ტომ კლევერლი, კრისტიან კაბასელე, ინის კაბული, ნათან ჩალობა

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივ დეფო, ჯონათან უოლტერსი, რობი ბრაიდი

**ბრაიტონი-ჰადერსფილდი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-მაიკლ ჰეფელე

**ბორნმუთი-კრ.პალასი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ სმიტი, ჰარი არტერი, ტაირონ მინგსი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეფ შლუპი, ჯოელ ვარდი, ჯულიან სპერონი, ბაკარი საკო, ჯეისონ პუნჩეონი, სკოტ დანი

**ვესტ ბრომვიჩი-სუონსი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯეიმს მორისონი

სუონსი: ***ტრავმ***-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი, ანგელ რანგელი

**სტოკი-ტოტენჰემი**

სტოკი: ***ტრავმ***-მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, ლი გრანტი, სტივენ აირლანდი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ჰარი ვინკსი

**სიტი-მანჩესტერი**

სიტი: ***ტრავმ***-ნებჯამინ მენდი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი, ანდერ ერერა, დელი ბლინდი

**არსენალი-საუთჰემპტონი**

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ჩელსი-ვესტ ჰემი**

ჩელსი: ***ტრავმ***-დავიდ ლუიზი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯეიმს კოლინზი, სემ ბირამი, უინსტონ რიდი, პედრო ობიანგი, ენდი კეროლი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 31 | 27 | 3 | 1 | 88-21 | 84 |
| 2.მანჩესტერი | 31 | 21 | 5 | 5 | 60-23 | 68 |
| 3.ლივერპული | 32 | 19 | 9 | 4 | 75-35 | 66 |
| 4.ტოტენჰემი | 31 | 19 | 7 | 5 | 62-26 | 64 |
| 5.ჩელსი | 31 | 17 | 5 | 9 | 53-30 | 56 |
| 6.არსენალი | 31 | 15 | 6 | 10 | 58-41 | 51 |
| 7.ბარნლი | 31 | 12 | 10 | 9 | 29-27 | 46 |
| 8.ლესტერი | 31 | 11 | 10 | 10 | 47-43 | 43 |
| 9.ევერტონი | 32 | 11 | 7 | 14 | 38-53 | 40 |
| 10.ბორნმუთი | 32 | 9 | 10 | 13 | 39-51 | 37 |
| 11.უოტფორდი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-57 | 37 |
| 12.ნიუკასლი | 31 | 9 | 8 | 14 | 31-40 | 35 |
| 13.ბრაიტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 28-42 | 34 |
| 14.ვესტ ჰემი | 31 | 8 | 9 | 14 | 39-57 | 33 |
| 15.სუონსი | 31 | 8 | 7 | 16 | 25-44 | 31 |
| 16.ჰადერსფილდი | 32 | 8 | 7 | 17 | 25-53 | 31 |
| 17.კრ.პალასი | 32 | 7 | 9 | 16 | 31-50 | 30 |
| 18.საუთჰემპტონი | 31 | 5 | 13 | 13 | 29-47 | 28 |
| 19.სტოკი | 32 | 6 | 9 | 17 | 29-61 | 27 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 3 | 11 | 18 | 25-51 | 20 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.04 ალავესი-ხეტაფე | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 07.04 სელტა-სევილია | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 07.04 ბეტისი-ეიბარი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 07.04 ბარსელონა-ლეგანესი | 1.1 | 7.5 | 19.0 |
| 08.04 ლევანტე-ლას პალმასი | 1.91 | 3.6 | 3.75 |
| 08.04 რეალი-ატლეტიკო | 1.75 | 3.75 | 4.0 |
| 08.04 სოსიედადი-ხირონა | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 08.04 ვალენსია-ესპანიოლი | 1.44 | 4.33 | 6.5 |
| 09.04 ვილიარეალი-ბილბაო | 1.85 | 3.4 | 4.33 |

**ალავესი-ხეტაფე**

ალავესი: ***ტრავმ***-კარლოს ვიგარაი

ხეტაფე: ***ტრავმ***-მაურო არამბარი

**სელტა-სევილია**

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-არავინ

**ბეტისი-ეიბარი**

ბეტისი: ***ტრავმ***-ზუჰარ ფედალი, ანტონიო სანაბრია

ეიბარი: ***ტრავმ***-სერხი ენრიჩი

**ბარსელონა-ლეგანესი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ლუკას დინიე, სერხიო ბუსკეტსი

ლეგანესი: ***ტრავმ***-დარკო ბრაშანაჩი

**ლევანტე-ლას პალმასი**

ლევანტე: ***ტრავმ***-ანტონიო ლუნა, სასა ლუკიჩი, ტონო, ჩეიკ დაკური, რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-პედრო ბიგასი, გაბრიელ პენაბლა

**რეალი-ატლეტიკო**

რეალი: ***ტრავმ***-არავინ

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფელიპე ლუისი

**სოსიედადი-ხირონა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ჯონ გურიდი, ხაბი პრიეტო

ხირონა: ***ტრავმ***-კარლეს პლანასი

**ვალენსია-ესპანიოლი**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

ესპანიოლი: ***ტრავმ***-დიეგო ლოპესი

**ვილიარეალი-ბილბაო**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რამირო გუერა, ლეო სუარესი

ბილბაო: ***ტრავმ***-იერაი ალვარესი, მიკელ რიკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 23 | 7 | 0 | 76-15 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 30 | 20 | 7 | 3 | 50-14 | 67 |
| 3.რეალი | 30 | 19 | 6 | 5 | 76-33 | 63 |
| 4.ვალენსია | 30 | 19 | 5 | 6 | 58-31 | 62 |
| 5.ვილიარეალი | 30 | 14 | 5 | 11 | 40-34 | 47 |
| 6.ბეტისი | 30 | 14 | 4 | 12 | 50-53 | 46 |
| 7.სევილია | 30 | 14 | 4 | 12 | 39-46 | 46 |
| 8.ხირონა | 30 | 12 | 8 | 10 | 44-43 | 44 |
| 9.სელტა | 30 | 11 | 7 | 12 | 46-43 | 40 |
| 10.ეიბარი | 30 | 11 | 7 | 12 | 36-43 | 40 |
| 11.ხეტაფე | 30 | 10 | 9 | 11 | 35-28 | 39 |
| 12.ბილბაო | 30 | 8 | 12 | 10 | 30-34 | 36 |
| 13.ესპანიოლი | 30 | 8 | 12 | 10 | 26-37 | 36 |
| 14.ლეგანესი | 30 | 10 | 6 | 14 | 25-36 | 36 |
| 15.სოსიედადი | 30 | 9 | 7 | 14 | 51-52 | 34 |
| 16.ალავესი | 30 | 10 | 2 | 18 | 26-45 | 32 |
| 17.ლევანტე | 30 | 5 | 13 | 12 | 26-44 | 28 |
| 18.ლას პალმასი | 30 | 5 | 6 | 19 | 21-61 | 21 |
| 19.დეპორტივო | 30 | 4 | 8 | 18 | 26-61 | 20 |
| 20.მალაგა | 30 | 4 | 5 | 21 | 17-45 | 17 |

**გერმანია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.04 აუგსბურგი-ბაიერნი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 07.04 ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 07.04 კიოლნი-მაინცი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 07.04 გლადბახი-ჰერტა | 1.91 | 3.5 | 3.8 |
| 07.04 ჰამბურგი-შალკე | 4.0 | 3.25 | 2.0 |
| 08.04 დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.57 | 4.0 | 5.5 |
| 08.04 აინტრახტი-ჰოფენჰაიმი | 2.5 | 3.4 | 2.75 |
| 09.04 ლაიპციგი-ლევერკუზენი | 2.4 | 3.6 | 2.87 |

**აუგსბურგი-ბაიერნი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-მარკო რიხტერი, კევინ დანსო, რაფაელ ფლამბერგერი, დანიელ ოპარე, ალფრედ ფინბოგასონი

ბაიერნი: ***ტრავმ***-კინგსლი კომანი, მანუელ ნოიერი

**ფრაიბურგი-ვოლფსბურგი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ამირ აბრაში კალებ სტანკო, იორიკ რავე, მიკელ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეჰნერი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ადმირ მეჰმედი, იანიკ გერჰარდტი, მარსელ ტისერანდი

**კიოლნი-მაინცი**

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

მაინცი: ***ტრავმ***-ფლორიან მიულერი, აბდუ დიალო, რობინ ზენტნერი

**გლადბახი-ჰერტა**

გლადბახი: ***ტრავმ***-ვინჩენცო გრიფო, რაულ ბობადილა, დენის ზაკარია, ჯულიო ვილაბა, იბრაჰიმ ტრაორე

ჰერტა: ***ტრავმ***-არავინ

**ჰამბურგი-შალკე**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მერჯიმ მავრაი, უოლოსი, ნიკოლაი მიულერი

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

**დორტმუნდი-შტუტგარტი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-დან-აქსელ ზაგადუ, შინჯი კაგავა, ანდრეი იარმოლენკო

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მატიას ციმერმანი

**აინტრახტი-ჰოფენჰაიმი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-კარლოს სალსედო, ომარ მასკარელი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-დენის გეიგერი, შტეფან პოში, კარემ დემირბეი, ფელიქს პასლაკი

**ლაიპციგი-ლევერკუზენი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-შტეფან ილსანკერი, მარსელ ჰალშტენბერგი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 22 | 3 | 3 | 72-20 | 69 |
| 2.შალკე | 28 | 15 | 7 | 6 | 43-30 | 52 |
| 3.დორტმუნდი | 28 | 13 | 9 | 6 | 54-39 | 48 |
| 4.ლაიპციგი | 28 | 13 | 7 | 8 | 43-37 | 46 |
| 5.ლევერკუზენი | 28 | 12 | 9 | 7 | 47-35 | 45 |
| 6.აინტრახტი | 28 | 13 | 6 | 9 | 39-32 | 45 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 28 | 11 | 9 | 8 | 52-41 | 42 |
| 8.შტუტგარტი | 28 | 11 | 5 | 12 | 26-31 | 38 |
| 9.გლადბახი | 28 | 10 | 7 | 11 | 36-42 | 37 |
| 10.აუგსბურგი | 28 | 9 | 9 | 10 | 37-36 | 36 |
| 11.ჰერტა | 28 | 8 | 12 | 8 | 32-32 | 36 |
| 12.ვერდერი | 28 | 9 | 9 | 10 | 32-33 | 36 |
| 13.ჰანოვერი | 28 | 8 | 8 | 12 | 35-42 | 32 |
| 14.ფრაიბურგი | 28 | 6 | 12 | 10 | 26-46 | 30 |
| 15.ვოლფსბურგი | 28 | 4 | 14 | 10 | 28-37 | 26 |
| 16.მაინცი | 28 | 6 | 8 | 14 | 29-46 | 26 |
| 17.კიოლნი | 28 | 5 | 5 | 18 | 27-55 | 20 |
| 18.ჰამბურგი | 28 | 4 | 7 | 17 | 20-44 | 19 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.04 ბენევენტო-იუვენტუსი | 13.0 | 6.0 | 1.22 |
| 07.04 სპალი-ატალანტა | 4.4 | 3.6 | 1.8 |
| 07.04 რომა-ფიორენტინა | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 07.04 სამპდორია-ჯენოა | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 08.04 ტორინო-ინტერი | 3.5 | 3.4 | 2.1 |
| 08.04 კროტონე-ბოლონია | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 08.04 ვერონა-კალიარი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 08.04 ნაპოლი-კიევო | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 08.04 უდინეზე-ლაციო | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 08.04 მილანი-სასუოლო | 1.44 | 4.2 | 7.5 |

**ბენევენტო-იუვენტუსი**

ბენევენტო: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ფედერიკო ბერნანდესკი

**სპალი-ატალანტა**

სპალი: ***ტრავმ***-ბაკარი დრამე, ფედერიკო მატიელო, ბარტოშ სალამონი, მარკო ბორიელო

ატალანტა: ***ტრავმ***-ლეონარდო სპინაზოლა, ლუკა რიცო, იოსიპ ილიჩიჩი, რაფაელ ტოლოი

**რომა-ფიორენტინა**

რომა: ***ტრავმ***-მირკო ანტონუკი, ლუკა პელეგრინი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მილან ბადელი, ფედერიკო კიეზა

**სამპდორია-ჯენოა**

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯანლუკა კაპრარი, დავიდ კოვნაცკი, ნიკოლა მურუ, ჯანმარკო ფერარი, ლუკას ტორეირა, ედგარ ბარეტო, ბარტოშ ბერეჟინსკი

ჯენოა: ***ტრავმ***-ანდრეი გალაბინოვი, ანრეა ბერტოლაჩი, სანტიაგო ჯენტილეტი, არმანდო იზზო, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო

**ტორინო-ინტერი**

ტორინო: ***ტრავმ***-კრისტიან მოლინარო, ტომას რინკონი

ინტერი: ***ტრავმ***-ანდრეა რანოკია, ედერი, დანილო ამბროზინი, მარსელო ბროზოვიჩი

**კროტონე-ბოლონია**

კროტონე: ***ტრავმ***-ანტე ბუდიმირი, შტეფან სიმიჩი, ფედერიკო კეჩერინი, მარკო კაპუანო, როლანდო მანდრაგორა

ბოლონია: ***ტრავმ***-ემილ კრაფტი, რიკარდო ორსოლინი, ფილიპ ჰელანდერი, ხუან მანუელ ვალენსია

**ვერონა-კალიარი**

ვერონა: ***ტრავმ***-ალექს ფერარი, ტომას ჰოტრო, მორის კეანი, ბრუნო პეტკოვიჩი, ანტონიო კარაჩიოლო, მოჰამედ ფარისი

კალიარი: ***ტრავმ***-ნიკოლო ბარელა, მარკო ანდრეოლი, ლუკა ჩეპიტელი

**ნაპოლი-კიევო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-რაულ ალბიოლი, დრის მერტენსი, კალიდუ კულიბალი, მარიო რუი, ჟორჟინიო, ფაუზი გულმანი

კიევო: ***ტრავმ***-ფაბრიციო კაჩიატორე, ივან რადოვანოვიჩი, ჯანლუკა გაუდინო, ალესანდრო გამბერინი, მეჰდი ლერისი, ნენად ტომოვიჩი

**უდინეზე-ლაციო**

უდინეზე: ***ტრავმ***-სეკო ფოფანა, ვალონ ბეჰრამი, გაბრიელ ანგელა, იაკუბ იანქტკო, კევინ ლასანგა

ლაციო: ***ტრავმ***-შტეფან რადუ, ბასტოსი, ჯორდან ლუკაკუ, სენად ლულიჩი, ლუის ალბერტო

**მილანი-სასუოლო**

მილანი: ***ტრავმ***-ლუკას ბილია, იგნასიო აბატე, ანდრეა კონტი

სასუოლო: ***ტრავმ***-კლოდ აჯაპონგი, სიმონე მისიროლი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 25 | 3 | 2 | 70-16 | 78 |
| 2.ნაპოლი | 30 | 23 | 5 | 2 | 64-20 | 74 |
| 3.რომა | 30 | 18 | 6 | 6 | 50-24 | 60 |
| 4.ინტერი | 30 | 16 | 11 | 3 | 50-21 | 59 |
| 5.ლაციო | 30 | 17 | 6 | 7 | 73-39 | 57 |
| 6.მილანი | 30 | 15 | 6 | 9 | 42-35 | 51 |
| 7.სამპდორია | 30 | 14 | 5 | 11 | 50-46 | 47 |
| 8.ატალანტა | 30 | 13 | 8 | 9 | 46-33 | 47 |
| 9.ფიორენტინა | 30 | 13 | 8 | 9 | 42-33 | 47 |
| 10.ტორინო | 30 | 10 | 12 | 8 | 45-38 | 42 |
| 11.ბოლონია | 30 | 10 | 5 | 15 | 35-42 | 35 |
| 12.ჯენოა | 30 | 9 | 7 | 14 | 24-31 | 34 |
| 13.უდინეზე | 30 | 10 | 3 | 17 | 38-46 | 33 |
| 14.კიევო | 30 | 7 | 8 | 15 | 28-49 | 29 |
| 15.სასუოლო | 30 | 7 | 8 | 15 | 20-50 | 29 |
| 16.კალიარი | 30 | 8 | 5 | 17 | 28-50 | 29 |
| 17.სპალი | 30 | 5 | 11 | 14 | 29-51 | 26 |
| 18.კროტონე | 30 | 6 | 6 | 18 | 28-56 | 24 |
| 19.ვერონა | 30 | 6 | 4 | 20 | 25-62 | 22 |
| 20.ბენევენტო | 30 | 4 | 1 | 25 | 24-69 | 13 |

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.04 მონაკო-ნანტი | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 07.04 ტულუზა-დიჟონი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 07.04 გენგამი-ტრუა | 1.85 | 3.3 | 4.33 |
| 07.04 ბორდო-ლილი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 07.04 ამიენი-კაენი | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 07.04 ანჟე-სტრასბური | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 08.04 ნიცა-რენი | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 08.04 მეცი-ლიონი | 6.0 | 4.4 | 1.5 |
| 08.04 მარსელი-მონპელიე | 1.53 | 4.2 | 6.0 |

**მონაკო-ნანტი**

მონაკო: ***ტრავმ***-ადამა ტრაორე, პიეტრო პელეგრი

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

**ტულუზა-დიჟონი**

ტულუზა: ***ტრავმ***-იბრაჰიმ სანგარე, კრისტოფ ჟულიენი

დიჟონი: ***ტრავმ***-არნოლდ ბუკა მოტო, ფედერიკ სამარიტანო, მეჰდი აბეიდი

**გენგამი-ტრუა**

გენგამი: ***ტრავმ***-აბდულ კამარა

ტრუა: ***ტრავმ***-ტრისტან დინომე

**ბორდო-ლილი**

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდრ მენდი, ჯერომ პრიორი

ლილი: ***ტრავმ***-ანვარ ელ-გაზი

**ამიენი-კაენი**

ამიენი: ***ტრავმ***-კვენტინ კორენტე

კაენი: ***ტრავმ***-რონი როდელინი, ადამა მბენგუე

**ანჟე-სტრასბური**

ანჟე: ***ტრავმ***-იოან ენდრო, პიერიკ კაპელე

სტრასბური: ***ტრავმ***-მარტინ ტერიე, კადერ მანგანე, ნუნო და კოსტა

**ნიცა-რენი**

ნიცა: ***ტრავმ***-კრისტოფ ჟალე

რენი: ***ტრავმ***-არავინ

**მეცი-ლიონი**

მეცი: ***ტრავმ***-მილან ბიშევაჩი, ფლორენ მოლე, ჟან ჟოფრე, ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

ლიონი: ***ტრავმ***-ნაბილ ფეკირი

**მარსელი-მონპელიე**

მარსელი: ***ტრავმ***-ფლორიან ტაუვინი, გრეგუარ სერტიჩი

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟერომ რუსილონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 27 | 2 | 2 | 95-21 | 83 |
| 2.მონაკო | 31 | 20 | 7 | 4 | 75-33 | 67 |
| 3.მარსელი | 31 | 18 | 8 | 5 | 64-38 | 62 |
| 4.ლიონი | 31 | 17 | 9 | 5 | 64-36 | 60 |
| 5.რენი | 31 | 13 | 7 | 11 | 40-37 | 46 |
| 6.მონპელიე | 31 | 10 | 15 | 6 | 31-26 | 45 |
| 7.ნიცა | 31 | 13 | 6 | 12 | 42-43 | 45 |
| 8.ნანტი | 31 | 12 | 8 | 11 | 30-33 | 44 |
| 9.სტ.ეტიენი | 31 | 11 | 9 | 11 | 36-44 | 42 |
| 10.გენგამი | 31 | 10 | 8 | 13 | 32-46 | 38 |
| 11.დიჟონი | 31 | 10 | 8 | 13 | 44-60 | 38 |
| 12.ბორდო | 31 | 10 | 7 | 14 | 34-41 | 37 |
| 13.ანჟე | 31 | 8 | 11 | 12 | 36-42 | 35 |
| 14.კაენი | 31 | 10 | 5 | 16 | 23-39 | 35 |
| 15.ამიენი | 31 | 9 | 7 | 15 | 26-34 | 34 |
| 16.სტრასბური | 31 | 8 | 9 | 14 | 37-56 | 33 |
| 17.ტულუზა | 31 | 7 | 9 | 15 | 29-43 | 30 |
| 18.ტრუა | 31 | 8 | 5 | 18 | 25-42 | 29 |
| 19.ლილი | 31 | 7 | 7 | 17 | 29-49 | 28 |
| 20.მეცი | 31 | 5 | 7 | 19 | 29-58 | 22 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ბიშენტე ლიზარაზიუ: „რაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე“

მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა მარცხენა მცველმა ბიშენტე ლიზარაზუმ თავის კარიერაზე, ჩემპიონთა ლიგაზე, 1999 წელს განცდილ მარცხსა და 69 ნომერზე ისაუბრა.

***– სინამდვილეში რა გქვიათ, ბიქსენტი თუ ვენსანი?***

– ბიშენტე მქვია. ბასკების საფრანგეთის ქვეყანაში დავიბადე და მშობლებს სურდათ, ჩემთვის ბიშენტე დაერქმიათ, მაგრამ ჩინოვნიკებმა უარი უთხრეს ბასკის სახელით ბავშვის რეგისტრაციაზე და ფრანგულად ვენსანი ჩაწერეს. ყველა ბიშენტეს მეძახდა იქამდე, სანამ პოპულარული ფეხბურთელი არ გავხდი. მაშინ დაიწყეს – ვენსან ლიზარაზუმ პასი გააკეთა... მე კი მიკვირდა, ვინაა ვენსანი? მაშინ მივმართე იურისტს და ოფიციალურად შევცვალე ყველა დოკუმენტში ჩემი სახელი ბიშენტეზე, როგორც მშობლებმა დამარქვეს. ჩემს შვილებსაც ბასკური სახელები დავარქვი: ბიჭს – ჩიმისტა (ელვა), გოგოს – უჰაინა (ტალღა).

***– ბორდოში როგორ თამაშობდით ერიკ კანტონასთან ერთად?***

– დიდი ხანი არ მითამაშია მასთან ერთად ერთ გუნდში. გასახსენებელიც არაფერია. თუმცა არა, იყო ერთი შემთხვევა. ერთ-ერთ სათასო თამაშში პენალტის შესრულების შანსი მოგვეცა, ძალიან ძლიერი ქარი ქროდა, კანტონამ აიღო თავის თავზე პენალტის შესრულება და ისე მოხდა, რომ ბურთი კარამდეც კი არ მივიდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# რეპერმა ზაზა ნოზაძემ ბერას ბოდიში საჯაროდ მოუხადა



რეპერმა ზაზა ნოზაძემ კოლეგას ბერა ივანიშვილს ბოდიში საჯაროდ მოუხადა.

– ვწყვეტთ მოკლედ „კლოუნადას“ და ხელოვნურად მოგონილ ომებს, ვიბრძვით მხოლოდ გაერთიანებისთვის! – განაცხადა რეპერმა.

ზაზამ სოციალურ ქსელში სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა და საკუთარი შეცდომები აღიარა

– მინდა მოგიყვეთ ისტორია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაცულია ყოველთვის ბალანსი. ეს ისტორია, რასაც მოვყვები, იმედი მაქვს, რომ თუნდაც ერთი ადამიანისთვის დამაფიქრებელი იქნება. დაბადებიდან დღემდე, რაც გავჩნდი, იმის მერე ჩემთვის ერთადერთი მისაბაძი ადამიანი იყო, ვინც გამზარდა, ბიძაჩემი კახა, რომელიც დღემდე რჩება ჩემთვის ავტორიტეტ ადამიანად. ყველაზე ცუდი ის მოხდა, რომ რამდენიმე წლის წინ სისხლის გათეთრებით გარდაიცვალა. მეორე ბიძა მახსენებდა ამასწინათ, როცა კახა ყველაზე რთულ მდგომარეობაში იყო, მაგ დროისთვის ის ხარჯები, რაც მაშინ უნდა გაგვეწია, ოჯახს არ გვქონდა საშუალება და ვინმე ბ. ივანიშვილმა უზრუნველყო ის თანხები, რაც საჭირო იყო და ბიძაჩემს სიცოცხლე გაუხანგრძლივა და შეუნარჩუნა კიდევ რამდენიმე თვე. მე არ ვამბობ, რომ ეს არ ვიცოდი, უბრალოდ, რამდენიმე დღის წინ შემახსენა მეორე ბიძამ.

მერე რა მოხდა და 1 წლის შემდეგ დავიწყე მუშაობა მაშინდელ ჯიდიესში, ეს ტელევიზია მაშინ შენდებოდა. ზუსტად 3 თვე ვიყავი იქ, ამიყვანეს სტაჟიორად, რომ მონტაჟი მესწავლა. ამ დროის განმავლობაში სამსახურში მივედი ყველაზე მეტი დაახლოებით 15 დღე, რა მდგომარეობაში მივედი, ეგ არის ყველაზე ცუდი, მთვრალი კი არა, ღორივით, ბანძივით მთვრალები რომ დადიან, აი ისე. წაშლილი ვიყავი, არ დააყოვნა ჩემმა რეჟისორმა და გამაჯმევინა პოსტიდან. ჩემში ეგრევე აინთო „როგორ გამიბედეს“, „როგორ მაკადრეს ასეთ ნიჭიერს“, როგორც ხდება ხოლმე, როგორი საზომითაც ვუდგებით ხოლმე ცხოვრებას.

დავივიწყე ყველაფერი და სიმღერებში რამდენჯერმე მოვიხსენიე ბერა ივანიშვილი მხოლოდ იმიტომ, რომ ბერა ივანიშვილია და ვცდილობდი მისი სახელის გატეხვას ჩემი აუდიტორიის წინაშე და საბოლოო ჯამში ამას რა მოყვა? არ ვიცი, როგორ რანაირად, სად დავუშვი შეცდომა, ყველაფერი წინ დამხვდა. იმ ადამიანებისგან, რომლებისთვისაც შემეძლო ცხოვრება გამეწირა და ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, უცებ ვიგრძენი ზურგში დანის ჩაცემა. ამას ღალატიც აღარ ჰქვია, უმძიმესი წუთები დამიდგა. მით უმეტეს, როცა ეს შენი საყვარელი ადამიანია. მივხვდი, რასაც თვითონ აკეთებ, იგივე გადაგხდება თავს. ეგრეც არის, ბუნება ყოველთვის კანონზომიერია. მთელი ჩემი ცხოვრება შევწირე ქართულ ჰიპ-ჰოპს და ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ მთელ ქართულ ჰიპ-ჰოპს აქვს ჩემ მიმართ აგრესია. არავისთან არანაირი პიროვნული შეხება არ მქონია, მაგრამ საიტებზე ყველას აზრები ვნახე, კოლეგებზე მაქვს საუბარი, უმეტესად ახალგაზრდებზე. აგრესია გაჩნდა ჩემ მიმართ, ამასაც ვხვდები, რის გამო და რანაირად.

ვიხდი ბოდიშს პირველ რიგში ჩემი აუდიტორიის, ჩემი მსმენელის წინაშე, რომ შეცდომაში შეგიყვანეთ, ბერასთან არანაირი შეხება არ მქონია. იმ სამ თვეში, რაც ჯიდიესში ვიმუშავე, ერთი-ორჯერ ერთმანეთს შევხვდით და მივესალმეთ. ბერას, ბერას ქომაგების, მეგობრების და ჩემი საკუთარი თავის წინაშე ვიხდი ბოდიშს, თუ ადამიანი ვერ აანალიზებ შენს შეცდომას, ე.ი. ძალიან შარში ხარ, იმიტომ, რომ ყველაფერი წინ დაგხვდება. ისეთი რაღაცები გამოვცადე და ისეთ ადგილებში წავიტეხე კისერი, მივხვდი, არაფერი იმალება. თუ ეს სიტყვები ვინმესთვის სამაგალითო იქნება, ძალიან გამახარებს.

არავისთან არაფერი გასაყოფი არ გვაქვს, შეცდომაში არ შეხვიდეთ. შეიძლება ბიჭობა და კაცობა ვინმეს თუ ჰგონია, რომ დაშვებული შეცდომის გატანა და არაღიარებაა, ცდება, პირიქით, შენი შეცდომის აღიარებაა კაცობა და ბიჭობა. ყველაფერი გავაკეთოთ ერთობისთვის, რადგან ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ვინც კი ცდილობს ერთობა დაანგრიოს, ის არის საზოგადოების მტერი. ამას ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს თავთან ვიყო მართალი და ყველამ იცოდეს, რომ შუღლის ჩაგდება უნდა შეწყდეს. ეს ყველაფერი იყო კლოუნადა, მასკარადი და აუცილებლად დამთავრდება.

ზაზა ნოზაძის განცხადებას ბერა ივანიშვილი მოკლედ გამოეხმაურა:

– შეცდომის დანახვას, მის აღიარებასა და ბოლოს მონანიებას მხოლოდ ძლიერი ადამიანები ახერხებენ. მე კი მიყვარს ასეთებთან ურთიერთობა.

P.S. ყველაფერს თავისი ხანდაზმულობის ვადა აქვს, განსაკუთრებით კი შეცდომის აღიარებას. გაუფრთხილდით დროს...

# ეკა ქევანიშვილი: „მეშახტის ცოლის სიმღერა“



პოეტმა და ესეისტმა ეკა ქევანიშვილმა შახტში მომუშავე ადამიანებს და მათ მეუღლეებს ესსე მიუძღვნა და მას „მეშახტის ცოლის სიმღერა“ უწოდა:

– ამაღამ გვიან მოვა ჩემი კაცი.

ჩემი შებოლილი ქმარი. და მისი კბილები თეთრად გაიელვებს.

კბილებით შემიძლია ჩემი ქმარი სხვებისგან გამოვარჩიო.

როცა გავიცანი, თეთრი კაცი იყო, ახლა რაღაცნაირი მტვრისფერი გახდა.

ხმაშიც თითქოს დაფხვნილი რკინა გაერია. თვალებში გავარვარებული ზეთი უპრიალებს.

იცვლება ჩემი ქმარი, როცა გრძელი გვირაბიდან ამოდის. როცა სააქაოს ბრუნდება.

აი, სადაცაა მოვა. ამოგანგლული შემოაღებს კარს და მოიტანს სუნს.

დედამიწის შუაგულიდან წამოღებულს. სხვა მისნაირი დაქანცული კაცების.

მოვა, ცალ ხელში ცარიელი კონტეინერებით, მეორეში გამურული პურით.

პურსაც გადაედო ჩემი ქმარი. ჩემ გარდა, ისიც გააშავა: გზაში ცოტა ჩამოუტეხავს.

ეტყობა, მოშივდა.

დაჯდება მაგიდასთან და ზის.

ელოდება წვნიანიან თეფშს, რომელსაც მოჰყვება ჩემი რამდენიმე მოსასწრები წინადადება ბანკის ვალებსა და მაღაზიის ნისიასა და მეზობლის ბავშვის ახალ ფეხსაცმელსა და ჩვენი შვილების დაძველებულ ჩანთებზე. სასოწარკვეთაზე.

დაჯდება და იყურება ფანჯარაში, ცისკენ.

ცა მენატრება, მეტყვის და დადუმდება.

ამაღამ გვიან მოვა ჩემი ქმარი და დაყრის გასარეცხ ტანსაცმელს.

და ზამთრის ყინვაში შეაღებს ფანჯარას.

ჰაერი მენატრება, იტყვის და დადუმდება.

და მე ველარაფერს ვეტყვი სახატავ რვეულებსა და შოკოლადებსა და წიგნებსა და ახალ კაბებსა და აი, იმ ვიტრინაში გამოდებულ ყელსაბამსა და საერთოდ, ადამიანურად ცხოვრებაზე.

მხოლოდ გავიფიქრებ, ნეტა ხელი და ფეხი სულ ჰქონდეს ჩემს ქმარს, რომ შახტში ჩავიდეს.

# სოხუმში საერთაშორისო კინოფესტივალი დაიწყო



სოხუმში საერთაშორისო კინოფესტივალი დაიწყო. მასში 20 ქვეყნის 32 ახალგაზრდა რეჟისორი მონაწილეობს

კინოფესტივალთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში სოხუმის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ე.წ. საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. როგორც ფესტივალის ვებგვერდზეა მითითებული, კინოფესტივალს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკა მასპინძლობს, ღონისძიებაზე კი რამდენიმე ფილმი ევროპის ქვეყნებიდანაც იქნება ნაჩვენები.

ამ კონტექსტში, აუცილებელია, ხაზი გაესვას კულტურის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების დაუშვებლობას. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე: აფხაზეთის რეგიონი უკანონოდაა ოკუპირებული რუსეთის ფედერაციის მიერ, საიდანაც გამოდევნილია ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი.

ასეთ პირობებში მსგავსი ღონისძიების ჩატარება წარმოადგენს მცდელობას, მოხდეს საქართველოს განუყოფელი რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის წარმოჩენა და საოკუპაციო რეჟიმების ლეგიტიმაცია.

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი თხოვნით მიმართავს კოლეგებს, კინემატოგრაფისტებს მთელი მსოფლიოდან, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის „რბილმა ძალამ“ და არ დაარღვიონ საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი.

ეროვნული კინოცენტრი წლებია, წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის კინოცენტრებთან, კინოფონდებთან, კინოინსტიტუტებთან თუ პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალებთან. ჩვენ გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რომ ჩვენს უცხოელ კოლეგებს შევატყობინოთ აღნიშნული ინფორმაცია, რათა არ შევიდნენ შეცდომაში და არ დაარღვიონ საერთაშორისო სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუვალობა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობა.

# გიორგი უშიკიშვილი „ქღალ მიმინოსთან“ დაკავშირებულ აჟიოტაჟს პასუხობს



მუსიკალური პროექტის „მხოლოდ ქართული“ ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მომღერალი გიორგი უშიკიშვილი „ქღალ მიმინოსთან“ დაკავშირებულ აჟიოტაჟს პასუხობს:

– როგორც ჩანს, ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა ან მოსმენა არ იცის და ან განგებ არ უნდა, რომ მოისმინოს და გაიაზროს. ამ „ქღალი მიმინოს“ არ ცოდნას რომ გვაბრალებთ ჟიურის, უნდა შეგახსენოთ, რომ „მხოლოდ ქართული“ სიმღერის კონკურსია და არა პოეზიის. არავის უთქვამს, რომ ლექსი ვერ ვიცანით, საერთოდ ლექსზე საუბარიც არ ყოფილა. თორემ ლექსის ავტორი რომ არჩილ სულაკაურია, გასაგებია. ჩვენ ვერ ვიცანით სიმღერა, იმიტომ, რომ იყო ცუდად ნამღერი და ვერც თავი გაუგეთ და ვერც ბოლო. შესაბამისად, კარგი იქნება, სანამ რამეზე აღვშფოთდებით, მანამდე კარგად გავიაზროთ. ისე, ამ ხალხის აღშფოთება არსად არ მომისმენია, ჩვენს უნიკალურ ხალხურ მუსიკას რომ ვკარგავთ ნელნელა. „ქღალი მიმინოს“ სიმღერის არ ცოდნა კი ვერ გვაპატიეს.

გიორგი უშიკიშვილის განცხადებას ჟიურის კიდევ ერთი წევრი, მომღერალი სოფო ნიჟარაძე გამოეხმაურა:

– ცუდად ნამღერი პატრიოტული სიმღერა, ან საგალობელი რომ არ უნდა გააკრიტიკო, არ იცი შენ? და არც უნდა გაგეცინოს!

# სიღნაღში ამირანის ქანდაკება დაშალეს და ჯართში ჩააბარეს



მოქანდაკე ვახტანგ ონიანის მიერ დამზადებული თავისუფლების ქანდაკება „ამირანი“ სიყვარულის ქალაქად წოდებული სიღნაღის მცველად იყო მიჩნეული.

ქანდაკება მხოლოდ მოგონებებშიღა დარჩა, რადგან სიღნაღის რეაბილიტაციის დროს ნამუშევარი დაშალეს, რკინა ჯართში ჩააბარეს, ხოლო სპილენძი ფერად ლითონებში.

ქანდაკების აღდგენის ინიციატივით მოქალაქეები არაერთხელ გამოვიდნენ, მათ სპეციალური პეტიციაც კი შექმნეს, თუმცა მათი მოთხოვნა ამ დრომდე არ დაკმაყოფილებულა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კანადელმა წონაში 148 კილოგრამი დაიკლო

კანადელმა ტონი ბასიმ წონაში 148 კილოგრამი მას შემდეგ დაიკლო, რაც ხანძრის დროს ევაკუაციისას თვითმფრინავში ორი სკამი დასჭირდა დასაჯდომად. მამაკაცი ძალიან განიცდიდა, რომ მის გამო ვინმე შესაძლოა ვერ გადარჩენილიყო.



2016 წლის მაისში ქალაქ ფორტ მაკ-მურეის რაიონში ტყის ხანძრები დაიწყო და ხელისუფლებამ მოსახლეობის თვითმფრინავებით სასწრაფო ევაკუაციის განკარგულება გასცა. როდესაც ბასი აეროპორტში მივიდა, პერსონალმა ის მისი ზედმეტი წონის გამო რიგის თავში დააყენა. იმ მომენტისთვის 41 წლის მამაკაცის წონა 257 კილოგრამს შეადგენდა. თვითმფრინავში ჩასხდომის დროს გაირკვა, რომ მას ორი ადგილი სჭირდებოდა, ამიტომ ერთ-ერთ ადამიანს ცეცხლში გახვეულ ქალაქში შემდეგი რეისისთვის მოცდა მოუხდა.

– სულ იმას ვფიქრობდი, რომ ვიღაცას ცოლი, ვიღაცას ქმარი ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრი ელოდებოდა – დედა, მამა ან საყვარელი ადამიანი, ისინი კი იმიტომ ვერ ახერხებდნენ მათთან შეხვედრას, რომ მე მეტისმეტად მსუქანი ვიყავი და მათთვის ადგილი აღარ დარჩა, – განაცხადა ბასიმ.

ევაკუაციის მეორე დღიდანვე მამაკაცმა წონაში დაკლება დაიწყო. თავდაპირველად მან უარი თქვა კარტოფილ ფრიზე მოთუშული ბოსტნეულის სასარგებლოდ და ქათმის ხორცს კანს აცლიდა, მალე კი დაბალი შემცველობის ნახშირწყლების დიეტაზე გადავიდა და ფიზიკურ დატვირთვას მოუმატა.

შედეგად მან 148 კილოგრამი დაიკლო. ამჟამად ის სავარჯიშო დარბაზში სიარულის დაწყებას აპირებს და ოცნებობს, რომ სამი წლის შემდეგ მარათონულ რბენაში მიიღოს მონაწილეობა, რათა ხანძრისა და წონაში დაკლების მეხუთე წლისთავი აღნიშნოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ბიშენტე ლიზარაზიუ: „რაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

***– რას იტყვით ზინედინ ზიდანზე?***

– როდესაც ზიზუ ბორდოში მოვიდა, საკმაოდ ცუდ ფორმაში იყო. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ეს მომენტი გამოესწორებინა. მაგრამ ის გენიოსია. მას საკმაოდ უცნაური ტექნიკა აქვს. ასეთ მოძრაობებს საფეხბურთო აკადემიაში არ ასწავლიან. ზიზუმ ქუჩის ფეხბურთელის ტექნიკა მოიტანა, ზოგიერთი მოძრაობა კი მის გარდა არავის შეეძლო გაემეორებინა. მას მარტოს შეეძლო გოლის გატანა და მატჩის შემობრუნება, მაგრამ ყოველთვის გუნდზე თამაშობდა.

***– რა როლი შეასრულა თქვენს კარიერაში ემე ჟაკმა?***

– ჩემი კარიერა ბორდოში ემე ჟაკის ხელმძღვანელობით დავიწყე და ნაკრებში ჩემი საუკეთესო წლები ასევე მისი ხელმძღვანელობით გავატარე. ის იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის გამოც მზად ხარ, ბოლომდე იბრძოლო. ოტმარ ჰიტცფელდიც ასეთივეა, სხვათა შორის. ჟაკი ძალიან დამეხმარა, როდესაც ბაიერნში მოვედი. კონკრეტულად, ტრავმებმა შემაწუხა და ეჭვი შემეპარა იმაში, ოდესმე დავუბრუნდებოდი თუ არა ძველ ფორმას. მაგრამ ჟაკი მიუნხენში ჩამოვიდა ჩემთან და მითხრა: თუ 100%-ით გამოჯანმრთელდები, მსოფლიო ჩემპიონატზე წაგიყვანო. ამ სიტყვებმა ძალა შემმატა და, როგორც დაწყევლილი, ისე ვვარჯიშობდი. საბოლოო ჯამში კი მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრე და ცუდადაც არ მითამაშია იქ.

***– რამდენად ძნელი იყო 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგება?***

– ძალიან ძნელი. ნაკრებში მუხლი დავიზიანე და მატჩში მონაწილეობა ვერ მივიღე. ჩვენ ძლიერები ვიყავით, უკეთესად ვთამაშობდით, მაგრამ წავაგეთ. არაფრის გაკეთება არ შემეძლო, იმის გარდა, რომ ფინალური სასტვენის შემდეგ მოედანზე გავსულიყავი და მტირალი თანაგუნდელების დაწყნარება მეცადა. ძალიან მტკივნეული იყო მათი ტანჯვის ყურება. მაგრამ ამ ტკივილმა ძალა მოგვცა, 2001 წელს სან-სიროზე ვალენსიასთან გაგვემარჯვა.



***– რთული იყო პენალტის შესრულება 2001 წელს ფინალში ვალენსიასთან მატჩში?***

– მე არ შევდიოდი პენალტისტების პირველ ხუთეულში. მსოფლიო ჩემპიონატზე პენალტი ვერ გავიტანე იტალიის კარში და ჩემს თავს ვუთხარი: მორჩა, პენალტს აღარ დავარტყამ. მაგრამ, აი, გავედით ჩემპიონთა ლიგის ფინალში და წერტილს მივუახლოვდი, რადგან 5 დარტყმის შემდეგ ანგარიში კვლავ თანაბარი გახლდათ. მთელი ძალით დავარტყი და ბედნიერი ვიყავი, რომ გავიტანე. მაგრამ გამარჯვება ოლივერ კანმა მოგვიტანა თავისი შესანიშნავი სეივით. ოლივერი ჩვენგან 50 მეტრში იმყოფებოდა, მაგრამ მისკენ თავაწყვეტილები გავექანეთ. ასე მგონია, უსეინ ბოლტზე სწრაფად გავრბოდით! ფანტასტიკური მომენტია, არასოდეს დამავიწყდება ეს.

***– თქვენ ისტორიაში პირველი ფეხბურთელი გახდით, რომელიც ერთდროულად მსოფლიოს, ევროპისა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. დიად ფეხბურთელად მიიჩნევდით თავს?***

– მე მოვიგე მსოფლიო ჩემპიონატი 1998-ში, ევროპის ჩემპიონატი 2000-ში, ჩემპიონთა ლიგა 2001-ში, შემდეგ კი – ინტერკონტინენტალური თასი. შემდეგ ბოლო მომენტში შალკეს გავუსწარით და ბუნდესლიგაც მოვიგეთ, მე კი მსოფლიოში საუკეთესო მარცხენა მცველად დამასახელეს. ეს ზედა ზღვარი იყო. რაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე და თავი ევერესტის მწვერვალზე ვიგრძენი. დაუვიწყარია.

***– ვინ იყო იმ ბავარიაში ყველაზე მაგარი: კანი თუ ეფენბერგი?***

– ორივე. ამ ბიჭებთან ერთად ნებისმიერ დაზვერვაში წასვლა არ შემეშინდება.

***– როდესაც მარსელში რამდენიმე სეზონის შემდეგ ბავარიაში დაბრუნდით, 69-ნომრიანი მაისური აირჩიეთ. ამის შესახებ ბევრს ხუმრობდნენ. რატომ აირჩიეთ ეს ნომერი?***

– კი, ბევრს ხუმრობდნენ... საქმე კი ის არის, რომ ლუსიომ აიღო 3 ნომერი, რომელსაც მე მთელი ცხოვრება ვატარებდი და ყველაფერს ვიგებდი ზედიზედ. მაშინ დავფიქრდი და გიჟური იდეა მომივიდა. მე ხომ 1969 წელს დავიბადე, 1,69 სიმაღლის ვარ და თითქმის 69 კილოს ვიწონიდი. ზუსტად ამ მიზეზთა გამო ავირჩიე ეს ნომერი. ყველამ კი იფიქრა.... ის, რაც იფიქრა. თავაწყვეტილობა იყო.... მაგრამ ფეხბურთი უნდა იყოს კიდეც თავაწყვეტილი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 7 აპრილისათვის



**ვერძი** – წარმატების მიღწევაში მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობა დაგეხმარებათ. **კურო** – ახლობლებს დახმარებასა და რჩევაზე უარს ნუ ეტყვით. მიხედეთ ასევე პირად ცხოვრებას. **ტყუპები** – მოთმინება და სულიერი სიმტკიცე გმართებთ, განსაკუთრებით – ბიზნესის სფეროში. აჩქარება შეცდომებს გამოიწვევს. **კირჩხიბი** – ემოციების აყოლა არ გარგებთ. დაიცავით დღის რეჟიმი და ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **ლომი** – იყავით უფრო გულისხმიერი და ლმობიერი. გაეცალეთ კონფლიქტურ ადამიანებს. **ქალწული** – საკმაოდ შრომატევადი და რთული დღეა. რამდენიმე საქმის ერთბაშად კეთება დაგქანცავთ. **სასწორი** – კარიერაში ცვლილებებია მოსალოდნელი. შესაძლოა თქვენთვის საინტერესო საქმიანობის სფეროს მიაგნოთ. **ღრიანკალი** – შორსმჭვრეტელობა და გამბედაობა დღეს ძალიან წაგადგებათ. იზრდება სამოქმედო არეალი. **მშვილდოსანი** – იყავით პრინციპული, დაპირება აუცილებლად შეასრულეთ, სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **თხის რქა** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ. დღის მეორე ნახევარში გაურკვეველ სიტუაციას თავს დააღწევთ. **მერწყული** – დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. ნუ იქნებით ეგოისტი, სხვებზეც იფიქრეთ. **თევზები** – ზოგიერთ დოკუმენტზე ხელმოწერას ნუ იჩქარებთ. ვითარება სათანადოდ აწონ-დაწონეთ.

## 8 აპრილისათვის

**ვერძი** – საქმე ისეთი ტემპით არ მიდის, როგორც გსურთ. თუმცა მოვლენების დაჩქარება არ ღირს. **კურო** – პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი საქმეების შეთავსება ოდნავ გიჭირთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** – შექმნილ რთულ სიტუაციაში მალევე გაერკვევით. მთავარია, სწორი დასკვნები გააკეთოთ. **კირჩხიბი** – ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს სერიოზული სირთულეების გადალახვა მოგიწევთ. მთავარია, ემოციებს არ აჰყვეთ და ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. **ლომი** – თუ მხოლოდ კარიერაზე იფიქრებთ, ცხოვრების ხალისს დაკარგავთ. გათავისუფლდით ნეგატიური აზრებისაგან. **ქალწული** – შექმნილი ვითარება გაიძულებთ, საკმაოდ არასასიამოვნო ადამიანებთან იქონიოთ კონტაქტი. გამოიჩინეთ მეტი დიპლომატიურობა. **სასწორი** – სამომავლო გეგმებზე ფიქრში დროს ნუ დაკარგავთ. მიჰყევით თვითდინებას. **ღრიანკალი** – ლიდერის თვისებები დაგეხმარებათ, ბევრი ისეთი პრობლემა მოაგვაროთ, რომლებიც კარიერულ წინსვლაში ხელს გიშლით. საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. **მშვილდოსანი** – ენერგიულად და ენთუზიაზმით სავსე ხართ. მეტი ხელმომჭირნეობა გმართებთ. **თხის რქა** – ნუ იქნებით სწორხაზოვანი. შექმნილი სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **მერწყული** – ახლო მეგობრის რჩევა დაგეხმარებათ სწორი დასკვნების გაკეთებაში. ინტუიციას ნუ დაეყრდნობით. **თევზები** – საკუთარი თავის რწმენა გიბრუნდებათ, თუმცა მეტისმეტი სითამამე, სავარაუდოდ, საქმეს გაგიფუჭებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სისხლის თხევადი ნაწილი; 2. თამაზ მელიავას კინოკომედია; 3. პოპულარული პარკი თბილისში; 4. აეროპორტი კაიროში; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. მათემატიკაში ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ანბანის ასო.

**თარაზულად:** 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. ფრანგი მწერალი; 7. ვერაგი, გაუტანელი, მოღალატე ადამიანი; 9. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 10. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. ფრანგი მოქანდაკე; 15. ავი სული, დემონი არაბულ ფოლკლორში; 19. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 20. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 21. ჰოლანდიური ლუდი; 22. მთა თბილისში.

***შეადგინა თ.კოპალეიშვილმა***

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. აკუსტიკა; 2. ადიდასი; 3. პიერო; 4. მეჯლისი; 5. სოპრანო; 10. ზარზუელა; 11. ექსტრაქცია; 12. ანანასი; 15. ცურტაველი; 16. ჩხიკვი; 17. დუმფარა; 20. ბანგი.

**თარაზულად**: 6. აკრედიტაცია; 7. ჰერცოგი; 8. სკოტები; 9. ვირუსი; 13. სოია; 14. ოქსინო; 18. ინტერპოლი; 19. ტუაზი; 21. გაუდა; 22. დიქცია; 23. მადრიგალი; 24. ილინოისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სალათი; 2. იყალთო; 3. კასტილია; 4. ჩხოუში; 6. ზედაზენი; 8. ახტალა; 11. ხოდაბუნი; 12. ჰეროინი; 16. ჰერში; 17. მყესი; 18. ხირსა.

**თარაზულად**: 1. სპრინტი; 5. დიეზი; 7. კალმახი; 9. ახალუხი; 10. წუმწუმა; 13. ლეგიონი; 14. ბორანი; 15. კები; 19. ჰონვედი; 20 წყალტუბო; 21. შიომღვიმე; 22. ჩიხურა.

# სამგლოვიარო განცხადებები

## სოსო ტონიას მონატრება



შენი უცაბედი ტრაგიკული დაღუპვიდან მე-20 ტკივილიან დაბადების დღეს ვხვდებით, ჩვენო საყვარელო ძამიკო.

შენს დაბადების დღეს, რომელიც დაემთხვა წმიდა აღდგომის დღესასწაულს 8 აპრილს, ისევ ცრემლიანი წარსულის მოგონებებით შევხვდებით. შენს ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებიც უამრავი გყავს, შენზე წუხილი და სევდა არ გაგვნელებია. შენ ყველასთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობდი, ყველას ხიბლავდი, აოცებდი შენი ნიჭითა და განათლებით.

ყველას შენებურად ეხმარებოდი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს უხსნიდი, ასწავლიდი ქვეყნის სიყვარულს, ქართული კულტურისა და ზნეობის შენარჩუნებას.

არავის შეაწუხებდი, ჩუმად და შეუმჩნევლად მიდიოდი შენი კაცური გზით.

შენნაირი ადამიანები მხოლოდ ფიზიკურად მიდიან ამ ქვეყნიდან, მაგრამ მათი სახელი ყოველთვის უკვდავია.

შენი ხანმოკლე გზა, ძამიკო, პირნათლად გაიარე და ნათელი კვალი დაგვიტოვე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

***შენი და-ძმა ნანული და ომარ ტონიები ოჯახებით***

## ჯემალ გაბისონიას მონატრება



ჯემალ, 8 აპრილი შენი დაბადების დღეა. ამ თარიღს მეოთხედ ხვდება შენი ოჯახი ტკივილითა და გამოუთქმელი მწუხარებით. უზომოდ დიდია მონატრება შენი, ენატრები ყველას და ამ მონატრებას ჯემალ გაბისონია ჰქვია. შენი დაბადების დღეს დაემთხვა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ბზობა, ხარება, რასაც გილოცავთ.

იცოდე, ჯემალ, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. შენს საფლავზე ანთებული სანთელი არასდროს ჩაქრება.

გვჯერა, უფლის ნათელი არ მოაკლდება შენს მარადიულ სასუფეველს.

***შენი ოჯახი – მეუღლე, შვილები, შვილიშვილები***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**7 აპრილისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4011

ევრო — 2.9474

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3750

100 რუსული რუბლი — 4.1707

**ამინდის პროგნოზი 7 აპრილისთვის**





**5 აპრილიდან**

150 ამბავი
**ნობელიანტი ფიზიკოსები**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




**29 მარტიდან**




ავთანდილ ბუხრაშვილი
**მყუდრო აგარაკის საიდუმლოება**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

**3 აპრილიდან**

79 ამბავი
**ზვიად გამსახურდია**




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## იუმორი



ორი ნაცნობი ინტერნეტით ურთიერთობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას აკეთებ?

– რას და ბალახს ვთიბავ და მონიტორის გვერდით ზვინს ვდგამ.

●●●

ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმი კროსვორდს ავსებს:

– ასე... კუნძული, სადაც ნაპოლეონი დაიბადა...

ერთ-ერთ პაციენტს მიუტრიალდა და ეკითხება:

– ეი, შენ, სულელო, სად დაიბადე?

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– როგორ შეიძლება, ერთი ინგლისური სიტყვით ითქვას: „ცოლი, სიდედრი და ბავშვები აგარაკზე წავიდნენ?“

– იესს!!!

●●●

თანამშრომელი უფროსს ეუბნება:

– ბატონო დირექტორო, თუ შეიძლება, უფლება მომეცით, რომ დღეს სამსახურიდან ადრე წავიდე. ცოლს უნდა გავყვე საყიდლებზე.

– არავითარ შემთხვევაში! დაბრუნდით თქვენს ადგილზე და იმუშავეთ!

– ულრმესი მადლობა, ბატონო დირექტორო!

●●●

ზარი ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში:

– კომპიუტერში ვერ შევდივარ!

პროვაიდერი პასუხობს:

– პოზა შეცვალეთ...

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

– შესანიშნავია, გიგი, საშინაო დავალება უშეცდომოდაა შესრულებული და, დარწმუნებული ხარ, რომ მამაშენს არავინ ეხმარებოდა?!

●●●

ორი დაქალი საუბრობს:

– გოგო, გუშინ ქუჩაში მივდივარ და ვხედავ, მანიაკია! გავიქეცი!

– მერე, დაეწიე?

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, რას აკეთებს წერო ბავშვის მოყვანის შემდეგ?

– კედლისკენ გადაბრუნდება და ხვრინვას ამოუშვებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**22 მარტიდან**




180 ამბავი
**ილია ჭავჭავაძე**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**28 მარტიდან**

130 ამბავი
**ლუდი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## მესი შესაძლოა ლეგანესთან დაასვენონ

ბარსელონას ლიდერმა ლიონელ მესიმ შესაძლოა ლეგანესთან შეხვედრა გამოტოვოს და ამის მიზეზი ის არის, რომ ბოლო პერიოდში ლეომ ბევრი შეხვედრა ჩაატარა და მას დასვენება ესაჭიროება.



გარდა ამისა, ლეგანესთან მატჩი ბარსელონასთვის სავარაუდოდ რთული არ იქნება, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მესიმ შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე დაიწყოს.

ლეგანესის შემდეგ ბარსელონა რომას წინააღმდეგ ჩაატარებს მატჩს, შემდეგ კი საკუთარ მოედანზე ვალენსიას მიიღებს.

ამჟამად ბარსელონა თავის უახლოეს მდევარს მადრიდის ატლეტიკოს 9 ქულით უსწრებს.

## ჯენარო გატუზო: „მილანს ძველ დიდებას დავუბრუნებ“

მილანის მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ რამდენიმე დღის წინ გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ის მილანში 2021 წლის ჩათვლით იმუშავებს.



გატუზოს თქმით, ის თავდაუზოგავად იმუშავებს იმისთვის, რომ მილანს ძველი დიდება დაუბრუნოს, თუმცა კარგად ესმის, რომ ამის გაკეთება რთული იქნება:

– მილანი ძალიან მიყვარს და ვამაყობ, რომ ამ გუნდის მწვრთნელი გავხდი. მილანი მსოფლიო ფეხბურთის გრანდია და ჩვენ იმ პოზიციებზე უნდა დავბრუნდეთ, სადაც ადრე ვიყავით. ამისთვის ძალიან ბევრი შრომაა საჭირო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მანუელ ნოიერი შესაძლოა აპრილის ბოლოს დაბრუნდეს

მიუნხენის ბაიერნის და გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერი შესაძლოა აპრილის ბოლოს მოედანზე დაბრუნდეს. ნოიერმა ტრავმა სექტემბერში მიიღო და მას შემდეგ ბაიერნის კარს სვენ ულრაიხი იცავს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნოიერი მალე აქტიურად დაიწყებს ვარჯიშს, აპრილის ბოლოს კი მოედანზეც დაბრუნდება.

თვითონ ნოიერი ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

## მოჰამედ სალაჰი სიტის წინააღმდეგ ითამაშებს

ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ სალაჰი სამშაბათს შეძლებს მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ თამაშს. სალაჰმა სიტისთან პირველ შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც ის მეორე ტაიმში შეცვალეს. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, ამიტომ სალაჰი უკვე მზად არის მოედანზე გამოსასვლელად, მაგრამ ევერტონის წინააღმდეგ ის სავარაუდოდ არ ითამაშებს.



ევერტონთან მატჩი შაბათს გაიმართება. რაც შეეხება მანჩესტერ სიტის, ლივერპულმა ხოსეპ გვარდიოლას შეგირდები 3:0 დაამარცხა და განმეორებითი მატჩის წინ ლივერპული ამ წყვილის აშკარა ფავორიტია.

## სამუელ უმტიტი: „ბარსელონა მიყვარს და წასვლას არ ვაპირებ“



ბარსელონას ფრანგმა მცველმა სამუელ უმტიტიმ განაცხადა, რომ მას ბარსელონა უყვარს და ჯერჯერობით სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს.

ბოლო პერიოდში ხშირი იყო საუბრები იმის შესახებ, რომ უმტიტი კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებდა.

– ბარსელონა ძალიან შემიყვარდა და აქ ყველაფერია იმისთვის, რომ ბედნიერი ვიყო. სხვა სათქმელი არაფერი მაქვს. მე უბრალოდ ფეხბურთელი ვარ, რომელიც თავის საქმეს აკეთებს. ვცდილობ, ყოველთვის კარგად ვითამაშო, – განაცხადა სამუელ უმტიტიმ.

უმტიტი ბარსელონაში 2016 წლის ზაფხულში გადავიდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 3. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 4. სურსათ-სანოვაგის საზიდი მხარზე გადასაკიდებელი ძველებური ნაქსოვი ჩანთა; 5. ნიჩბოსანთა სპორტული ნავი; 10. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. კინოცენტრი ჩეხეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 20. ლოყა ანუ...

**თარაზულად:** 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. ნარკოტიკული ნივთიერება; 13. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრუდენციაში სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, სარგებლობა მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. გერმანელი ფილოსოფოსი; 21. ღვინის სასმისი; 22. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა სახელწოდება ძველად ევროპაში; 24. ეკოლოგთა და მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

